

დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე
(XVII ს.), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან
გიორგაძისა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“,
1977

დონ პიეტრო ავიტაბილე — იტალიელი თეატინელი
მისიონერი, რომელიც 1626–1632 წლებში სათავეში
ედგა თეატინელთა ორდენის მისიას საქართველოში.

რელაციონი

**დიდად პატივცემულო და უგანათლებულესო
ბატონო და ყოვლად ღირსეულო ჩემო პატრონო!**

1632 წლის მარტში თქვენი
უგანათლებულესობისაგან ამანათი და წერილი
მივიღე, რომელშიც იმავე წლის 12 თებერვლით
დათარიღებული წმინდა კონგრეგაციის პროპაგანდა
ფიდეს დეკრეტი აღმოჩნდა. თქვენი წმინდა

უგანათლებულესობა ეთანხმება ჩემ თხოვნას, რათა საქართველოში ჩემი აქ ყოფნის დროს პატრ ავგუსტინელებთან ერთად შევგუებოდი ამ ხალხს, რომელიც ძველ კალენდარს იყენებდა. ამაზე ადრეც მიგვითითებდა და გვიბრძანებდა თქვენი უგანათლებულესობა უშესანიშნავეს წერილში. იმას მოგახსენებდით: უფალს არ მოეწონება ამჯერად რაიმე ნიშნის გამომჟღავნება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ვივარაუდოთ ამ ხალხის მოქცევა კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტ მცნებაზე, ვინაიდან ეს ქვეყანა უკვე აღარ არის ქრისტიანი მეფეების მფლობელობაში, არამედ შაჰის დომენია. განდევნილია ქრისტიანი ხელმწიფე და მის ადგილზე მაჰმადიანი ზის; თუმცა იგი ქრისტიანების შვილია და პირდაპირი შთამომავალია ქართლის უძველესი სამეფო გვარისა. იქ, სადაც ამჟამად ჩვენ ვცხოვრობთ, ეს მეფე ჩამოვიდა სწორედ გასული მარხვის დასაწყისში. საერთოდ, ყველა დიდი ტაშისცემით შეხვდა მას. დღესდღეობით ლაპარაკობენ ახალ აჯანყებაზე, რაც ან ამ ქვეყნის ხალხის დაუდგრომლობითაა გამოწვეული, ან ამ ახალი მეფის უკმაყოფილონი არიან.

თუ რა დაბრკოლება აქვს ჩვენს გეგმებს, თქვენ აღმატებულებას ეს ძალიან კარგად მოეხსენება. ჩვენ მწარე ცრემლების ღვრითა და ოხვრით მეტად შესაბრალისად ამ ბატონს განუწყვეტლივ კარებზე ვუკაკუნებთ, რომლის ხელშიაც ყველაფერია

მოქცეული და რომლის მითითებაზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, ჩვენ კი ვთხოვთ ღმერთს, მისი უსაზღვრო სიკეთის ღირსნი გაგვხადოს, ჩვენ კი მწყალობელი თვალები მივაპყროთ საცოდავ არსებათ, ყოველივე დაბრკოლება გადავლახოთ, რომელიც ხელს უშლის ამ ხალხს გახდნენ მისი ღვთაებრივი წყალობის ღირსეული მონაწილენი, მიუხედავად იმისა, რომ სულ ვტირით, ჩვენ მაინც ველით ისეთი შემთხვევის გამოჩენას, როცა ღვთის წყალობით, შეიძლება კაცმა იმედი იქონიოს რაიმე კარგი დასაწყისისა ჩვენი მიზნის მისაღწევად, რისთვისაც მისმა ღვთაებრივმა უდიდებულესობამ და რომის წმინდა რეზიდენციამ ამ ქვეყანაში გამოგვგზავნა. ჩვენი და ქვეყნის მდგომარეობა ასეთია. თუ რა დაბრკოლებანი და იმედები გვაქვს, ამის შესახებ ვრცლად ვწერ ჩვენს გენერალ პატრს, რადგან ვიცი, რომ ყველა ამას ხსენებული პატრი გაუზიარებს თქვენს ყოვლად აღმატებულებასა და წმინდა კონგრეგაციის პროპაგანდა ფიდეს და ყოვლად აღმატებულ ბატონებსაც. ეს წერილი მოსაწყენი არ მინდა გავხადო. ჩვენ ყველა უღრმეს პატივისცემას გამოვხატავთ თქვენი ყოვლად განათლებულობისა და წმინდა კონგრეგაციის ყველა ბატონისადმი. უმდაბლესად ვემუდარებით უფალს, რომ მან საიქიოს ნეტარი მარადიული ბედნიერების ადგილი გამოიმეტოს ჩვენთვის ისე, როგორც ადამიანთა შორის ამ ქვეყნად საუკეთესო

ადგილად საქართველო მიგვაჩნია.

ვეამბორებით რა სიყვარულით თქვენს წმინდა სამოსს, გაეჯებით, თქვენი ღრმა და წმინდა ლოცვებით შეგვავედროთ უფალს.

საქართველო, გორი, 1633 წლის 1 ოქტომბერი. თქვენს წმინდა დიდად პატივცემულობასა და ყოვლად „განათლებულებას უმდაბლესი და უღირსი უფლის მსახური დონ პიეტრო ავიტაბილე და რეგულარული კლირიკოსების ამხანაგები.

**ყოვლად უგანათლებულესო და დიდად
ღირსეულო სინიორე და პატრონო ჩემო, ყოვლად
პატივცემულებავ!**

თქვენო უგანათლებულესობავ და ყოვლად პატივცემულებავ! ამ წერილს ასე მოკლედ და მშრალად იმიტომ გწერთ, რომ დარწმუნებული ვარ ყველა ჩემი წერილი უკვე მიღებული გექნებათ, ამიტომ თქვენ რომ არ შეწუხდეთ, ამ წერილში უკვე არაფერს ვიმეორებ. თქვენი უგანათლებულესი პატივცემულებისაგან გასული წლის 29 მაისს ვნების კვირას წერილი მივიღე, რამაც ჩვენი პატრების კმაყოფილება გამოიწვია. პირადად ვინც გიცნობთ და მათაც, ვინც არ გიცნობთ, დიდი კმაყოფილებით ბევრჯერ გადაიკითხეს თქვენი წერილი. ნამდვილად გარწმუნებთ, რომ თქვენს ინსტრუქციას „*Odoris facta est nobis*“ ამ კომპოზიციით

დიდი სიამოვნებით ვისმენთ ხოლმე, როცა ჩვენი წმინდა სარწმუნოების დედაზე ვმსჯელობთ. შემძლია აუღელვებლად გითხრათ, რომ დღენიადაგ მისი სახელი თაფლივით გვატკბობს. ყველაფერი ღვთის სადიდებლად არის ნათქვამი და ასეთი წყალობა მხოლოდ თქვენი სიკეთითაა ნაბოძები და თქვენი მორიდებული თავმდაბლობის შეულახველადაც. თუმცა თქვენი უბრწყინვალესობისა და ყოვლად პატივცემულობის წერილმა, როგორც მოგახსენეთ, ძალიან დიდი კმაყოფილება განგვაცდევინა, მაგრამ არანაკლები შეშფოთება გამოიწვია ბოლო ნაწილმა, სადაც ჩამოთვლილი იყო გაჭირვება და რამდენადმე კათოლიკური სარწმუნოების საფრთხეც გერმანიაში. თქვენ მას ჩვენს ლოცვებს ავედრებთ. თქვენ, ალბათ, გულისხმობთ, რომ ჩვენ როგორც მისიონერები (თქვენი სიტყვები რომ გამოვიყენოთ), ღმერთისათვის უფრო საყვარელნი ვართ. ასეც უნდა იყოს. ჩვენი მოვალეობის შესასრულებლად ჩვენს მცირე შეგნებაში იმედს სახავს საქართველო; ყოველივე ამის გამო მხნეობას არა ვკარგავთ. ვასწავლოთ აქ, რომ ჩვენი წმინდა სარწმუნოება არის არა ადამიანის შემოქმედება, არამედ ღვთისა. მისი ღვთაებრივი უზენაესობა ჩვენგან ამ ხალხის სულის მკურნალობასა და მოვლას მოითხოვს, ამისათვის ყოველ დღე საჭირო საკრამენტებს თავმდაბლად აღვაველებთ ხოლმე მისი ყოვლად დალოცვილის ძის უწმინდესი წირვის დროს. მას

ვემუდარებით, რომ მისი ღირსებისათვის, და რადგანაც ეს მისი უსაზღვრო სურვილიცაა, ციდან მოგვივლინოს დროული სამკურნალო საშუალება ერთისა და მეორე ხალხისათვის, რომელსაც მისი ქმედითი წყალობაც დაერთვის.

როგორც ცხადი გახდა, გერმანიაში ეს უკვე შეუსრულებია და ჩვენს ქვეყანაში კი ჯერ გასაკეთებელია, რადგანაც ჩვენმა ცოდვებმა ხელი შეუშალეს, რომ დიდი სიკეთე მიგვენიჭებინა საცოდავი ქართველებისათვის.

მვირფასო ბატონო, ყველა ვემუდარება ამ უსაზღვრო სიკეთეს, რომ ეს თქვენი მსახური, თქვენგანვე გამოგზავნილი, უმჯობესია დატოვოთ საბოლოოდ ჩვენს წმინდა ორგანიზაციაში. გნებავთ სხვაგან, რომელშიაც ყოვლად უგანათლებულესმა ბატონმა განაწესა, როგორც ერთგული მღვდელი თქვენი ღვთაებრივი სიტყვისა. ჩვენ კი სამარცხვინოდ აქედან გვაძევენ, როგორც უსარგებლოსა და არარაობას, პატრი ნიკიფორეზე, არ ვიცი, რა მოგახსენოთ, მან კეთილი სიტყვებით დაგვაიმედა, როცა მეფესთან შევხვდით; ჩანს, მან რამდენადმე ვერ შეასრულა თავისი სიტყვა. ერთმა ბერძენმა კარგად შენიშნა, რომ ის თქვენი თანამგრძნობელიაო, იგი ბოდიშს გიხდით და გპირდებათ, რომ როცა მოიცლის, დანაპირებს უსათუოდ შეასრულებს. მაგრამ გულის სიღრმეში რა აქვს მას, ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის.

ქვეყანაში ახალი არეულ-დარეულობის გამო ნიკიფორე წავიდა დადიანთან, ამ ახალმა მეფემ, რომელმაც თეიმურაზის ადგილი დაიკავა, ნიკიფორე ბერი თავისთან მიიწვია. ხალხში ხმა დადის, რომ მისი პატრიარქად დასმა უნდაო. ნიკიფორემ არ მოიწადინა ჩვენთან მოსვლა, შეიძლება შიშითაც, რადგან თეიმურაზმა იგი სულთანთან ელჩად გააგზავნა რვა დღით იმაზე ადრე, სანამ სპარსეთის ჯარი შეგროვიდოდა, რათა დახმარება ეთხოვა ყიზილბაშების წინააღმდეგ. საპატრიარქო უკვე ჩააბარეს ერთ ახალგაზრდა ქართველ ეპისკოპოსს, რომელიც ნეტარ ცხოვრებას დაიცავს. იგი ადრე ჩვენი მოწინააღმდეგე არ ყოფილა. ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია და გვწამს.

წმინდა კონგრეგაციამ საქართველოში და მეზობელ სამეფოებში მისიონერებად გამოგვგზავნა, მე პირადად მთხოვეს, თუ ვის მივიჩნევ უფრო სანდოდ, რათა ერთი ჩვენგანი გადავიდეს შორეულ მხარეში (ამაში იგულისხმება, რომ საქართველოში არავითარი ზიანი არ უნდა მოუვიდეს ჩვენს სარწმუნოებას წამსველელის არყოფნის შემდეგ). ასეთმა წამსველელმა სულიერ არსებათ სიხარული უნდა მოუტანოს. უთქმელად ვიღწვით ამ დიდი საძირკვლის ჩვენი ცხოვრების წესზე მოსაწყობად და არავითარ უძრავ-მოძრავ ქონებას არ ვიძენთ; ამ საქმეში ღვთიური მადლი გვახლავს. ამ განსაკუთრებულ საკითხზე მსურდა

თქვენი უგანათლებულესი პატივცემლობის აზრი მცოდნოდა, რათა შეცდომა არ ჩამედინა, რადგან ჯერ არ მომეცა სათანადო შემთხვევა, რომ აქედან რომელიმე ჩვენგანი გამომეგზავნა. ვფიქრობდით, რომ ეს უნდა ყოფილიყო ღვთის სამსახური. თქვენს უგანათლებულეს პატივცემულობას ჩვენს გაჭირვებაზე რჩევასა ვთხოვთ. ეს ისეთი საკითხია, მხოლოდ ღმერთმა რომ უწყის, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ მხოლოდ ერთი განსაკუთრებული რამ. რაზედაც არ შემძლია არ დავფიქრდე უდიდესი გულისტკივილით. მე თვითონ მიკვირს, ამ ხანობამდე როგორ ვარ ცოცხალი. საჭირო გახდა რამდენიმე ხნით მიგვეტოვებინა ენების შესწავლა, რომელიც ადრე დიდი მონდომებით დავიწყეთ. ვცდილობდით როგორმე ჩემი საცოდავ სიცოცხლე შეგვენარჩუნებინა, მაგრამ დღემდე ვერ მოვჯობინდით. დღესაც, ჩვენს შორის ლაპარაკი გვქონდა წმინდა წირვისათვის მსხვერპლი გაგველო და შანდლები ქონით აგვენთო, რადგან სანთლის შეძენის საშუალება არა გვქონდა. ღმერთს სხვა წყალობას არაფერს ვთხოვთ, თუ არა მარტო იმას, რომ არ მოგვაკლოს უღარიბესი ეკლესია, ასევე უბრალო სანოვაგე და ტანსაცმელი, რათა ჩვენ არ მოვცდეთ ამაზე ზრუნვით და ვემსახუროთ მხოლოდ იმ მიზანს, რომლისათვისაც აქ გამოგვგზავნეს. ველარა ვბედავ სხვა რამის თხოვნას. მე მგონი, საკმარისია წარმოიდგინოთ ჩვენი სავალალო, მაგრამ ნეტარი

მდგომარეობა. იქნებ რწმუნებულთა გულმავიწყობის გამო არ დაგვაკმაყოფილეს წლიური კუთვნილი წყალობით. ღვთის სიყვარულით გვიშუამდგომლეთ, ისე მოაწყონ საქმე, რომ კუთვნილი მაშინვე ალეპოში გადმოგვცენ. გარდა ამისა, თავმდაბლად გთხოვთ, მოლაპარაკება გაგვიადვილოთ ამხანაგობის მუდმივი ფონდის შესახებ. ამ დახმარების გარეშე, ჩემი აზრით, გაჭირვებიდან ვერ ამოვალთ. ვჯერდებით მხოლოდ იმას, რაც უფალმა გვიბოძა. და ბოლოს. ღრმა მოწიწებით ვესალმებით რა თქვენს უგანათლებულეს პატივცემულებას, გეაჯებით, თქვენს წმინდა ლოცვებში შეგვავედროთ უფალს.

მოიკითხეთ სიყვარულით სინიორ ვენიერო.

დაწერილია გორში –საქართველოში, 1633 წლის 1 აგვისტოს.

თქვენი უგანათლებულესისა და ყოვლად გამოჩენილების და პატივცემულების უმდაბლესი მსახური უფლისა რეგულარების მღვდელი, დონ პიეტრო ავიტაბილე დიდად გამოჩენილ და უპატივცემულეს სინიორს, ჩემს ყოვლად აღმატებულ პატრონს, პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციის მდივანს, სინიორ დონ ფრანჩესკო ინგოლის.

ქრისტეში¹ დიდად პატივცემულო მამაო,
თეათინელი კლირიკოსების გენერალო, დონ მატეო
სანტომანგო
ცნობები საქართველოზე

ალეპო, 1685 წლის 24 ნოემბერი

მადლობა უფალს! თქვენს უწმინდესობას ამ წერილს ალეპოდან ვწერ, სადაც ამჟამად ვიმყოფები. ყოველივე თვით ამ მონათხრობიდანაც გამოჩნდება. აქ მცხოვრებმა პატივცემულმა ფეხშიშველმა პატრმა კარმელიტებმა მაცნობეს, რომ თქვენთვის გადმოსაცემი ჩემი წერილები არ მიუღიათ. მათგან გამოგზავნილი ბევრი ამანათი მაქვს მიღებული, ისე, რომ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი წმინდა პატრებისაგან წერილის ნიშანიც კი არსად ჩანს. მე მგონი ვალდებული ვარ მოკლედ მოგითხროთ ის, რაც წერილებში მაქვს მოწერილი, ვფიქრობ, რომ ამა წლის მარტში გამოგზავნილი უკანასკნელი წერილი დაკარგულია, რაც ავადმყოფობდი, ჭირისოფლიანი საკუთარი ხელითა გწერდით, თოთხმეტზე მეტ ფურცელზე დავწერე წერილი – ძალიან შემჭიდროვებული ბჭვარებით და თქვენს დიდად პატივცემულობის მისამართით გამოგზავნე ჩვენს უმაღლეს

¹ ასეთი გამოთქმა დამახასიათებელია მსოფლიოს ქრისტიანული — სამწერლო ენისათვის, მაგ. ფრანგულად: dans le Christ, გერმანულად — in Christus; იტალიურად — in Christo; რუსულად — Во Христе და სხვა.

უფროსებთან. არა მგონია, ამით რაიმე უპატივცემულობას ვიჩენდე თქვენდამი, არამედ უფრო ვადასტურებ მორჩილებას, ვიცავ რა სამოთხეში ნეტარ სულებს მორის არსებულ ციური ამალის მშვენიერ წესრიგს რომ არაფერი დამავიწყდეს და გამოძრჩეს, რამდენადაც შესაძლებელია, უწესრიგოდ ყველა ამბავი გიამბობთ ძალიან მოკლედ, დროის თანმიმდევრობის მიხედვით, თანაც მეექვსეა იქნებ ის წერილები არაა დაკარგული, არამედ იმ ომების შედეგად დაბრკოლდა, რომელიც, აქ მოხდა ალექსოდან საქართველოსაკენ ჩვენი წამოსვლის დროს. ამ მგზავრობისას ჩვენ კინაღამ დაგვხოცეს, მე დამჭრეს. თუ როგორ მოგვიწყო პირველი შეხვედრა მეფე თეიმურაზმა, ამის შესახებ თქვენს უმაღლესობას პატრ ანტონიო დი პისტიჩისთან ერთად უკვე მოგწერეთ არზრუმიდან, შემდეგ საქართველოდანაც –1632 წლის 7 სექტემბერს. პიეტრო დელა ვალესაგან მხოლოდ ერთი წერილი მივიღე სომეხ მათიასათვის, რომლის შესახებ უკვე გაცნობეთ. ახლა, წელს უნეტარესი ღვთისმშობლის დაბადების მერვე დღეს პატრი ჯაკომოს თანხლებით განჯაში მივედი. ვფიქრობდი, ჩვენი მეგობრის, დაუდ-ხანის, შემწეობით ამენაზღაურებინა ის ზარალი, რაც თბილისში გამარცვით მომაყენეს. ცუდ დროს მივუსწარით: დაუდ-ხანი თავისი ხელმწიფის წინაღმდეგ ასაჯანყებლად თეიმურაზთან შეთანხმებას აწყობდა. ჩვენი მოლაპარაკება, მართალია, კარგად დაიწყო, მაგრამ ჯერ

ვერ შეძლო მისი დასრულება, ამავე დროს ბრძანება გასცა ჩვენთვის ადგილი მოეცათ და დაავალა, რომ ამ ადგილას ეკლესია და სახლი აეშენებინათ, გარდა ამისა, ჩვენ მოსამსახურედ მოგვიჩინა ექვსი ყმა, რომლებიც მოკლე ხანში გავათავისუფლეთ. ამ დროს მეტეო ფიორინო ავად გახდა; შემდეგ მეც დავემატე. ჩვენმა ბატონმა ჩვენთვის არაფერი დაიშურა და შემოგვთავაზა ცხენები, აქლემები, ფული, რამდენიც დაგვჭირდებოდა, რომ პატრ ჯაკომოს გორში წავეყვანე და, როცა განვიკურნებოდით, უკანვე დავბრუნებულიყავით. ეს დახმარება ძალიან დროული იყო და ჩვენ მისით აღტაცებული დავრჩით; იმის გამოცნობა კი არ შეგვეძლო, გულში რა ედო. მით უფრო, რომ რამდენადაც სიყვარულსა ან მოწყალებას არ იშურებდა, იმდენად ჩვენგან შეწუხებას ვერ იტანდა. სხვა მხრივ იგი უაღრეს თავმდაბლობას იჩენდა პატრისადმი, რომელიც წყალობაზე უარს ამბობდა, რათა ხარჯი არ დაემძიმებინა. მართლაც, პატრი თბილისში შეთანხმებისამებრ წავიდა ფულის ასაღებად. მე და ფიორინო განჯაში ჩავრჩით დაავადმყოფებულნი ორი მომვლელის –ინდოელისა და სომხის –ორივე კათოლიკეს, მზრუნველობის ქვეშ. პატრის წასვლის დღესვე თეიმურაზის შესახვედრად დაუდ-ხანიც წავიდა. თავიანთი საზღვარი გადალახეს და ორივე განჯაში შევიდა. ის მოაოხრეს, დაწვეს და, ვინც ხელში ჩაიგდეს, დახოცეს. მეომართა სიხარბე იმ

ზომამდე მიდის, რომ გამარჯვებით გატაცებულები გაუძარცვავს არც ერთ მკვდარს არ ტოვებენ. ეს ახალი ამბავი ქალაქში გავრცელდა თუ არა, პირდაპირ ლოგინიდან ცხენებს მოვახტით და სხვა დანარჩენებთან ერთად სალამოს ჟამსს მეტად პირქუში მთებისაკენ გავქუსლეთ. მთელი ღამე და მეორე დღეც შეუჩერებლივ ვიარეთ, ჯარი უკან მოვიგდეთ. ყველა ცხენი მივატოვეთ, ზოგმა ტყეში შეასწრო, ზოგმა უღრმეს გამოქვაბულებს თავი შეაფარა, რომელიც ამ მთებში უხვად მოიპოვება, ჩვენ იმდენად დავსუსტდით, რომ მეტის ატანა აღარ შეგვეძლო. ჩემს წინ კლდე აღიმართა, რომელსაც ღვთის შთაგონებით ზურგიდან მოვუარეთ და ვნახეთ, რომ წვიმას მარჯვენა მხრიდან თანდათანობით ღრმა ორმო ამოეთხარა ორი ბინის მსგავსი. მას სიგანე თითქმის სასტუმრო ოთახისა ჰქონდა, სადაც მოხერხებულად დამალვა შეგვეძლო. თუ ზედ არავინ წაგვაწყდებოდა, ვერავინ მოგვნახავდა.

საკმარისია ვთქვა, რომ მღვიმეში მოვხვდი უქუდოდ, უნაფოროდ და ულოცვანოდ, აგრეთვე უფულოდაც, მთის ტაფობზე ყველამ ვიპოვეთ ჩვენი ცხენები იმ დღეს, როცა დასრულდა მარცვა-გლეჯა და ბევრი ხალხი დაიხოცა როგორც ერთისა, ისე მეორე მხარისა... მარტო პურიტ ვირჩენდით თავს, ესეც სომხების პატრიარქის დასა ვთხოვეთ და მან ეს წყალობა მოიღო ჩვენზე. მომდევნო დღეებში კი არაჩვეულებრივი სასიამოვნო საჭმელი რამ შეგვხვდა:

მიწიანი ვაშლის ნაფცქვენები, რომლებიც ერთ კლდესთან ვიპოვნე გადაადგილების დროს. ეტყობა წინა დღეებში სომხების ხალიფას, რომელიც ამ პროვინციის პატრიარქია, აქ ესადილა. გზაში გაჭირვებამ ჩვენი უბედურება უფრო გააუარესა. საშინელი ადგილმდებარეობა სახიფათო განსაცდელს გვიმზადებდა. ერთი ღვთისნიერი ვართაპეტას თანხლებით უფრო ღრმად შევედით მთებში. მომდევნო ორი დღის განმავლობაში ფლატეებიანი გზებით და დაბურულსა და ხშირ ტყეში ვიარეთ; რომ ხრამებში არ ჩავკარგულიყავით, ერთმანეთს ხმამაღლა ვუძახდით. ამ მაღალი მთის მწვერვალზე ექვსი დღე დავყავით. როცა გავიგეთ, რომ ქართველი ჯარი თავის ქვეყანაში დაბრუნდა, ჩვენ დამშვიდებით სოფლის მღვდელთან, ერთადერთ სასახლეში, ოთხი დღე გავატარეთ. მან თავის სახლში წაგვიყვანა და დაავალა, რომ ყოველ დღე რძე და პური მოერთმიათ ჩვენთვის, ჩვენ მათ დღეში ერთ ჯულიოზე მეტი გადავუხადეთ. ბოლოს მასვე მივყიდეთ საკუთარი ტანისამოსი. ამ სოფელში, ბოსელში, გარდაიცვალა ფიორინო, მის საწოლ ბაგაში ძროხების გამხმარი წივა ეყარა. მაშინ ისეთ საცოდავ მდგომარეობაში იყო, რომ ვერაფრით დავამშვიდეთ. სიკვდილის წინ ძალიან მთხოვა, ერთი კვერცხი მეშოვნა მისთვის, მაგრამ ამ სოფლის ვერც ერთ სახლში კვერცხი ვერ მოვიძიე. საუცხოოდ შეესატყვისებოდა სოფლის სახელი მცხოვრებლების სილატაკეს, რაც მათს

მუნწობას განაპირობებდა. სწორად აღარ მახსოვს ეს ყმაწვილი წმინდა სიმონისა და იუდას დღესასწაულზე გარდაიცვალა თუ წინა დღეს, შუაღამისას, მოკვდა. აღსარება თქვა და სამარადისო ხსნით კმაყოფილება მანიშნა. წმინდა ზიარებაც შევეუსრულე.

ქართველთ კიდევ დარჩენოდათ ადგილი, სადაც ხელი ვერ მიეწვდინათ, დარბეული განჯის ნადავლი მათ მადას უხსნიდა ხელახლა შესეოდნენ და წინაც წასულიყვნენ. ჩვენი პატრების დაჟინებული მოთხოვნით დაუდ-ხანი თავისი დამახასიათებელი გულმწყალებით მზრუნველობას იჩენდა და სურდა გაეგო, ცოცხლები დავრჩით თუ არა. ხალხი გამომიგზავნა და საქართველოში წამიყვანა. გორში სწორედ უფლის შობის წინა ღამეს მივედით, სადაც უკვე მიცვალებულებს ტიროდნენ. კურთხეულმა ღმერთმა მის უსაზღვროდ შემბრალებელი გულით კვლავ სხვა წყალობაც გამოიჩინა: ომის პირველ დღეს სომხებსა და მავრებს (ე. ი. მაჰმადიანებს) ჩემი მოკვლა გადაეწყვიტათ ფიქრობდნენ, რომ, რადგან დაუდ-ხანი მწყალობდა, ამიტომ ვითომ შუამდგომელი ვიყავი მასა და თეიმურზს შორის და საუბედუროდ, იქაც იმიტომ ვიყავი დარჩენილი. რადგან მე არაფერში ვიყავი გარეული, უფალმა უბრძანა მას (დაუდ-ხანს) ჩემი უდანაშაულობისათვის მფარველობა გაეწია.

პატრ ჯაკომოს, თუმცა ღამით არასოდეს უმოგზაურია, მაგრამ მაღალი ღმერთის წინასწარ

ჩაგონებით ისეთი რწმენა ჰქონდა, რომ იმ ღამესვე თბილისში უნდა მოხვედრილიყო. ფიქრობდა, რომ ფულთან ერთად მეორე დღეს თავის ნავაჭრსაც ჩაუტანდა და გორში გაჭირვებაში მყოფ პატრებს ფულითაც დაეხმარებოდა. როცა უკვე მზად იყო, დასახელებულ ქალაქში შესულიყო, მას ვიღაც ჯარისკაცები წინ გადაეღობნენ. ესენი ქალაქის მოურავს მოეწვია, რადგან განჯაში აჯანყების შესახებ კვლავ ხმა დადიოდა, გამაგრებას ცდილობდა. ამიტომ პატრი გაბრუნდა და სხვა გზით გორისკენ წავიდა. ის რომ ძველი გზით წასულიყო, შეიძლება მოეკლათ კიდეც. განჯაში ღმერთმა უწყის, თუ არის ისეთი მოვალე, რომელიც ფულს არ გადაიხდის მას შემდეგ, რაც მათსა და ჩვენს შორის ხელშეკრულებაა დადებული.

1633 წლის დასაწყისში სპარსეთის ჯარი შემოვიდა საქართველოში, თეიმურაზის გაბედულ მოქმედებაზე პასუხი რომ მოეთხოვათ სიმონ-ხანის სიკვდილის გამო თბილისის მხარე, აგრეთვე ქართლიც, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, როსტომ-ბეგისათვის უნდა ჩაებარებინა. ეს იმაზე მიუთითებდა, რომ თეიმურაზს არ ებატონა. მის ცოლს მემკვიდრედ გახდომა არ შესძლებოდა, არამედ მას, როგორც ქართლის ძველი მეფეების პირდაპირ შთამომავალს მამრობითი ხაზით. ამაზე ყველა ქართველი დიდბატონი მსუბუქი ბუმბულივით აკანკალდა, შეშინდა და თავიანთი წინაპრებისათვის სახელი რომ

არ გაეტეხათ, მომავალ ახალ მეფესთან არა მხოლოდ შიკრიკი გააგზავნეს, არამედ როცა ის მოახლოვდა, თვითონ შეეგებნენ. უფრო მეტიც, უნდოდათ ხელთ გადაეცათ თვით თეიმურაზი, რომელსაც განზრახვა ჰქონდა თავისი ოჯახიანად იმერეთში გადასულიყო, სადაც მეფობდა მისი სიძე. ამასობაში მთელი ჯარი ისე შემოვიდა, თითქოს საკუთარ სახლში მოვიდნენო. მიყენებული შეურაცხყოფისათვის აღშფოთებულებმა, მართლაც, გადაუწვავი, გაუძარცვავი, მოუკვლელი თუ დაუტყვევებელი არავინ დატოვეს. მხოლოდ გორი, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, მსგავს დარბევას გადაურჩა. აქ განსაცვიფრებელი რამ საკუთარი ყურით გამიგონია, რომ უფალმა უსაზღვრო სიკეთის კალთა გორში მყოფ მის მორწმუნე ფრანკებს დააბერტყაო.

მეფე თავისი ჯარით უკვე ორი დღეა შემოვიდა. ამჯერად თავის უფროს ცხენოსან გვარდიას უბრძანა, პატრი ფრანკებისათვის შეეტყობინებინათ, რომ ტყეებში გაქცეულ ხალხთან არ წასულიყვნენ; შემთხვევით წასულები კი მოეძებნათ და თავიანთ სახლებში დაებრუნებინათ. გორიდან ნახევარი დღის სავალზე ორმა ჩვენგანმა შევამჩნიეთ მომავალი მეფე და პატარა რამ საჩუქრით მის შესახვედრად პატრი გავგზავნეთ, რომ მისთვის კეთილი მოსვლა გვესურვა. ეს ცერემონია დიდხანს რომ არ გაგრძელებულიყო, ჯარს სარდალსაც შევუთანხმდით.

მდაბიო ხალხმა მოთმინებიდან გამოგვიყვანა:

კარებს არამცთუ ღამე გვიმტვრევდნენ, არამედ აშკარად – დღისითაც. გარდა ამისა, რომ გვძარცვავდნენ, გაგვაკავეს და სახლს ცეცხლი ორჯერ წაუკიდეს. ამ საქმეს ჩვენ რომ ვერაფერი ვუშველეთ, მეფემ ჯარისკაცთა გვარდია დაგვიყენა, ამათაც შეეშინდათ და წავიდნენ. ჩვენ დავრწმუნდით, რომ დიდი უბედურების თავიდან ასაცილებლად მსგავს ძალმომრეობასთან ბრძოლა ხელს არ მოგვცემდა, ამიტომ თავი გავაღწიეთ. ბევრი ავი რამ გადაგვხვდა აგვისტოს თვემდე, სანამ ამ ქალაქში ციხეს ააშენებდნენ, ახალი მეფე ჯერ ქართლში არ იყო ჩასული, რომ უკვე დადიანის ანუ ოდიშის დაზე დაქორწინებას ცდილობდა; ამ საქმეზე წინ და უკან ელჩებს აგზავნიდა.

ღვთის შემწეობით მოხერხებულად მოვეწყვეთ. ათი პიასტრის მოწყალება გაიღო ნიკოლოზ ანუ ნიკიფორე ქართველმა ბერმა. ოდიშში ზემოდასახელებულ ნიკიფორეს უნდა გაჰყოლოდნენ პატრი ჯუდიჩე და ლამბერტი. ეს მოხდა 24 ოქტომბერს. გზაში დიდი ტანჯვა გაიარეს. მთავარსა და დედოფალს ძალიან კარგად მიუღიათ, არ შეეძლოთ პატრი ულამბერტოდ გაძლება. მისდა საუბედუროდ, სადაც კი მიდიოდნენ. ყველგან თან დაჰყავდათ, როგორც ჩვენ შევიტყვეთ, ამ მთავარს ჩვეულებად ჰქონია – ერთ ადგილას სამ დღეზე მეტხანს არ შეჩერებულიყო. მეორე მხრით, პატრი ჯუდიჩე ძალიან დანაღვლიანებულა, სახლში მარტოდ რომ რჩებოდა. ერთი წლისა და ერთი

თვის შემდეგ მართლმადიდებლებისა და აგრეთვე, როგორც ამბობენ, ნიკიფორეს დაუჯერებელი წინააღმდეგობის მიუხედავად, ერთი ეკლესია მოგვცეს. ხოლო არანაკლებად გაუხარდათ, როცა ამ მთავრის დაუდგრომელი ხასიათის მიზეზით ისევე სასწრაფოდ ჩამოგვართვეს ეკლესია, რომელიც ჩვენ გადმოგვცეს. ისეთ უბედურებაში ჩავცვივდით, რომ გორიდან ორჯერ მივიღეთ დახმარება.

1633 წლის 8 ქრისტეშობისთვის წირვის შემდეგ პატრ ჯაკომოს ისეთი ავადმყოფობა დაატყდა თავს, რომ შვიდი დღის განმავლობაში თვალი არ გაუხელია. ჩვენი მფარველი წმ. ქრისტიანი მონა ქალის (წმ. ნინოს) წმინდა დღესასწაული, რომელიც 16 ქრისტეშობისთვის ხდება, შესაფერი ღირსებით ვიუქმეთ.

ჩვენი მოსვლის დღიდან საქართველოში ხუთი წელი და ორი დღეა. (პატრი ჯაკომო) ამ ცხოვრებას განშორდა და წავიდა, რომ რამდენი ტანჯვის გადატანის შემდეგ დაღვრილი სისხლისა და ოფლის საფასურად თავისი ჯილდო ზეცაში ითხოვოს. მას ყველა ტიროდა: ქართველები, სომხები, მაჰმადიანები და დანარჩენი ხალხიც. მის ცხოვრებაზე ისე გვიამბობენ, როგორც წმინდანზე. რადგან ჩვენ რომ გორში ეკლესია გვქონდა, გასული ომების დროს დაინგრა, მისი კურთხეული ნემტი დავასვენეთ ეკლესიის ეზოში. ადგილობრივმა ხალხმა არაერთხელ მირჩია, რომ სხვა, უფრო უშიშარ ადგილას

გადაგვესვენებინა იმ დიდი საშიშროების გამო, რომ შესაძლებელია მოეპარათ კიდეც, რადგან ყველას წმინდანად მიაჩნდა. თქვენს დიდად პატივცემულობას ამ შემთხვევას მოკლედ ვუამბობთ, რადგან თავის დროზე სრულად უკვე მოგწერეთ. გორში მყოფმა ფეხშიშველა პატრებმა ეს უკვე იციან, რადგან წერილმა იქამდეც მიაღწია. დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ მანდაც იქნება მოსული. მის (ჯაკომის) დედას, დას და ძმისწულს ერთი წერილი მივწერე, მათ მადლობას ვუხდიდი, რომ ღმერთმა იგი წმინდანის დედად, და და ძმისწულად (უფლება მაქვს, ეს ვთქვა), ძმად და წმ. ვაჟიშვილად გახადა. ამინ! მადლი უფალს!

1634 წელს, უფლის ამალღების დღესასწაულის შემდეგ, ოდიშის მთავრის დამ, ქართლის ახალმა დედოფალმა, რომელიც ჩვენა მეფეს ცოლად მისცეს და გორში ისე შემოვიდა, რომ სპარსელებს არ დაენახათ, მოისურვა, საღამოს ხუთზე, როცა ჯარისკაცები ციხეში შელაგდებოდნენ, დიდი ზეიმით პატრი ავგუსტინელების ეკლესია და აგრეთვე ჩვენი პატარა სამლოცველო ენახა. პირველი დიდებულები და პრელატები როგორც ოდიშიდან, ისე გურიიდან მას თან ახლდნენ. პატრმა ჯუდიჩემ და ლამბერტიმ სარწმუნოებრივად მათი გული მოინადირეს; ჩვენი პატრებიც კმაყოფილნი დარჩნენ. ადრე წერილიდან ეს გამოვტოვე, რადგან ჩემმა მეგობრებმა ასე ამჯობინეს.

მერვე სამეხის დღეს, ოთხშაბათს, მათი

თანხლებითა და ხარჯით ჩვენი ძმები –ჯარდინა და კასტელი თან წავიყვანეთ. გვინდოდა, აგრეთვე, ახალგაზრდა ფრანგი კლაუდიოც წამოგვეყოლოდა, რომელიც ჩემთან ერთად საქართველოში პირველად მოდიოდა. ზემოდასახელებულ ეპისკოპოსთან ვიყავით, რომელმაც ჩემდამი უსაზღვრო სიყვარული გამოიჩინა. ერთ წელიწადს ძალიან კარგად მეპყრობოდა, დიდი მოწიწებითაც, ახლა კი ძველი მოწყალება შენელდა, მეტიც – სავსებით გაცივდა. მან პატრი ჯარდინა იძულებული გახადა მომავალი წლის 16 თიბათვეს გორში ჩასულიყო და ზოგიერთი ოჯახისათვის დახმარება აღმოეჩინა. ის 24-ს თავის საცხოვრებელ სახლში დაბრუნდა.

როგორც ვთქვი, ავადმყოფობამ ანუ ცხელებამ შემიპყრო 1632 წლის სექტემბრის თვეში და განვიკურნე ჩვენი ნეტარი პატრი გაეტანოს დღესასწაულის შემდეგ, 1634 წელს. 22 თვე და რამდენიმე დღე ვიწვალე.

კურთხეულ იყოს უფალი და მის ღვთაებრივი უდიდებულესობა, რომელმაც არ მოისურვა ოდნავადაც კი დავესვენებინე, ინება უკანასკნელ თვეს ჩვენს ქალაქში შავი ჭირის გაჩენა. მეორე სახლი, რომელსაც ეს ავადმყოფობა მოედო, პატრი ავგუსტინელებისა იყო, სადაც მფარველი ანგელოსის დღეს ყველა დაიხოცა: პატრი წინამძღვარი და მასთან ერთი მღვდელი, ახალი სასულიერო პირი, ერთი მორჩილი ძმა და ხუთი მოსამსახურე. ამგვარ

შემთხვევაში ამ ქვეყანაში უცნაურად იციან – როგორც კი სადმე მოვლენილი ბოროტება შინაგანი ხელშემწყობი მიზეზის გამო ოჯახს შეეხება, მაშინვე სოფლის გარეთ გავლენ ცოტა პურით, დოქი წყლით, მიწაზე მოიკალათებენ და თავიანთ უბედურებას ბედისწერას მიაწოდებენ. ჯანმრთელებიც მიდიან და სხვებს სახლში ტოვებენ. ჩვენი პატრების ამაგი დიდია, როგორც გარემეთათვის – ვისაც გაჭირვების დროს მზრუნველობას არ აკლებდნენ — ისე ჩვენთვისაც მართლაც, უფლის სამსახურად ჩაითვლება ოდეს ჩვენმა მორჩილმა ძმამ, გაეტანომ პატრ წინამძღვარს ვახშამი წაუღო აღნიშნული წლის 17 ოქტომბერს შაბათ საღამოს, სახლში დაბრუნებისას მარცხენა მხარეს ტკივილი იგრძნო. კვირა დღეს მუხლზე ორი წყლული აღმოაჩნდა, ოთხშაბათ დღის 4 საათზე ღმერთთან შეერთების განცდების სურვილში გაატარა და მზად იყო, რომ უფლის ღვთაებრივი უდიდებულესობისათვის სისხლი დაეღვარა, წმინდა ზიარების მიღებაზე თავმდაბლად მადლობა გადაიხადა და ამით დაასრულა თავისი სიცოცხლე. ამ კურთხეულმა მორჩილმა ძმამ ყველა მოხიბლა: არა მარტო ჩვენს სახლში იყო იგი მორჩილი და გამგონე, არამედ გარეთაც; მდინარიდან წყლის მოტანა, ტყიდან შეშის მოზიდვა და სხვა ყოველივე ამას მხიარულად და სიამოვნებით ასრულებდა. ხოლო, რაც ყველაზე საკვირველად გვეჩვენებოდა, იყო ის, რომ ძალიან

სუსტი მეხსიერება ჰქონდა, მაგრამ დიდი მონდომების წყალობით ქართული ენა მაინც ისწავლა ისე, რომ ძალიან არ ჩამორჩებოდა მათ, რომლებიც მას საგანგებოდ სწავლობდნენ. მასში სხვა რამეც იყო შესამჩნევი, ძალიან უნდოდა ამ ქვეყნის ხალხისათვის „მამაო ჩვენო“ და „გიხაროდენ ქალწულო მარიამ“ ესწავლებინა, თანაც სახლში თვითონ მორჩილების სულიერ ვარჯიშობასაც არ მოსცდენოდა ჩვენი კურთხეული ძმის პატრი დონ ვინჩენცო კარაფას გადაჭარბებულმა გულკეთილობამ ღვთის უსაზღვრო შემბრალებლობას გული მოუგო, მანაც დიდი ხნით აღარ გადადო ჯილდო. ავად გახდა კვირას, ე. ი. აღნიშნული თვის 29-ს და აღარ დაგვანება ამ დღესვე ორშაბათს მისთვის სრული ღმერთმსახურება შეგვესრულებინა, უფრო სხვის დასანახად, ვიდრე სხვა მიზნისათვის ლოგინზე მწოლიარე დარჩა. სამშაბათს, როცა წირვა გამოვიდა, მაცნობეს, რომ მას აღმოაჩნდა წყალმანკი მარჯვენა მხარეს. იმავე საღამოს, ღამის 3-დან 4-მდე ღვთის უსაზღვრო შემწყალებლობით ტრიუმფალურ ეკლესიაში შევიკრიბეთ, რათა აქ ნეტარი სულების თანხლებით საზეიმოდ გვედღესასწაულა ყოვლად წმინდათა დღე. მას ვერ მივეცი წმინდა ზიარება. მან თავისი სწეულების სერიოზული ხასიათი არ გამოამჟღავნა, თანაც არც ჩვენ და არც პატრ ავგუსტინელებს ზიარება აღარ გვექონდა. როგორც აღვნიშნე, კვირას წირვა დავაყენე. იგი ღვთის დიდების

დიდი გულმოდგინე იყო და სულთა ხსნისათვის ამ ღვთის მსახურმა გაუგონარი გაჭირვება გადაიტანა, ამიტომ ყველა მათ, ვინც მას ამ მხარეში მოღვაწედ იცნობდა, შეუძლიათ, თქვენო პატივცემულებავ, მაღლობა გადაუხადონ წერილით.

ქალბატონი მისი დედისა და ძმების შესახებ ახსნა—განმარტება, რამდენიც შევძელი, დავურთე: სანამ დონ ვინჩენცო კარაფა უფალს სულს ჩააბარებდა, მე დამავალა მისი სურვილი მათთვის გადამეცა. უმდაბლესი მაღლობა შესწირა უფალს, რომლისაგან ყველაფერი გამოვალს. იგი ე. ი. კარაფა, ყველასაგან წმინდანად იყო აღიარებული. მისი მომსახურება უფალმა მე მომანდო.

იმავე წელს, გარდაცვლილთა დღეს, გზად მიმავალმა ბატონმა ჩვენ მოგვინახულა. გორის ციხის უფროსის განკარგულებით ეს ბატონი ითხოვდა, რომ ჩვენი სახლები მიგვეტოვებინა და წავსულიყავით. ეს სახლები რადგან მოედანზე მდებარეობდა, ეშინოდა ყველას სენი არ შეგვეყოფოდა. ჯერ ძალზე შეგვეშინდა, იმდენად უფრო, რომ თუ აქედან არ წახვალთო, გვემუქრებოდა, ნაღმით მთელ სახლს ჰაერში ავაფეთქებო. მაგრამ დიდი თავმდაბლობით ჩვენი საყვარელი უფლის შემბრალებლობას მივენდეთ. მან მფარველობა გაგვიწია, შესაბამისად სხვა ჩვენი თანამოსაყდრეებისათვისაც ასევე მოიმოქმედა. ისე რომ, ამ შემთხვევაში სიტყვაც კი აღარ დამრულა,

თითქოს ამაზე არც არავის არასოდეს უფიქრიაო. ამავე ბატონს თავისი ნათქვამი ყალთაბანდობაში რომ არ ჩამორთმეოდა, ნება დაგვრთო სახლის საქმე სწრაფად მოგვეთავებინა. ღამე გაგვექურდეს, ნივთების გარდა ზარალმა სამოც პიასტრს მიაღწია.

ჩვენი ნეტარი კარაფას დღეს ავგუსტინიანელი პრიორი გორიდან წავიდა. იგი ნახჭევანის მონსინიორმა დაიბარა. ორი პორტუგალელი და მათი ორი აღზრდილი მათივე ეკლესიის მახლობლად დახოცეს. ფიქრობდნენ საცოდავები, ყოველგვარი საერო სიკეთითა და სიმდიდრით თავიანთ სახლებში ესიამოვნათ ლისაბონში. პატრმა თქვა: ზოგი რამ უკან წაიღეთ, რომლებიც მგზავრობაში გამოგადგებათ: გასამრჯელოები, ჯარისკაცების თუ სხვა თანამდებობის კაცთათვის გადასახადი და სხვა. ამის შესახებ მომწერა: უფროსებს სთხოვე თანამგზავრები გამოგიგზავნონო. თავის აღზრდილებს მონასტერმა დაავალა, რათა თავიანთი სახლიდან უკეთესი ნივთები ჩვენთან გადმოეტანათ.

ამა წლის აღდგომის ცოტა ხნის შემდეგ ავგუსტინელმა პრიორმა თავისი მონასტრის მეთვალყურედ დომენიკელი ორი სომეხი ბერი გამოგზავნა გორში –ერთი მათგანი მღვდელია, მეორე ნოვიციატი.

თქვენი ყოვლად პატივცემულების კეთილი

ნებართვით ერთი ნაბიჯით უკან დავიხევ და მოგიყვებით თუ რა განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობით ჩვენი უფალი მუდამ გვისმენდა, რის შედეგად შინაგანად ყოველთვის მეტად დამშვიდებული ვიყავით ხოლმე. ამდენი გაჭირვებისაგან ნურავის შეეშინდება, რადგან უნდა იცოდეს, რომ უსაზღვრო სიკეთეს სურს გააქარწყლოს ყოველი მოვლენა, რომელსაც ადრე ტანჯვა უნდა გამოეწვია.

საქართველოს უშორესი მხარეებიდან წმინდა ავგუსტინეს დღეს ერთი პოლონელი ჩამოვიდა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა ზოგიერთ ეპისკოპოსს, მღვდელსა და სხვებს, მაგრამ მცირედ კმაყოფილი იყო მათი, მას აზრად მოუვიდა ფრანკებთან ემსახურა, რომლებთანაც კარგი დამოკიდებულება ადრევე ჰქონდა, თუმცა არც ამით იყო სავსებით კმაყოფილი. ჩვენი სიღარიბით შეშინებული აღარავის ურჩევდა ჩვენთან დარჩენილიყო. იგი შეუწყნარებლად დიდ ჯამაგირსა გვთხოვდა, რომელიც არა თუ ჩვენ ძალასა და შეძლებას აღემატებოდა, არამედ იმაზე მეტიც იყო, რაც ბატონებს უნდა მიეცათ. მე მას ვუთხარი: სამი დღის განმავლობაში დაათვალიერე ჩვენი სახლის მომსახურება და მერე ისე მოიქეცი, რასაც უფალი შთაგაგონებს მეთქი. პირობაზე დამთანხმდა. ორი დღე რომ გამოხდა, ხელზე მეამბორა და მითხრა: არაფერს

არა გთხოვთ, მინდა გემსახუროთ ღვთის სიყვარულისთვისო. ეს ამბავი მოხდა ჭირის გაჩენიდან ორი დღით ადრე. სანოვაგე უკვე მოემარაგებინა ჩვენს დიდად საყვარელ პატრს. სხვები რომ მოხიბლულნი იყვნენ დიდი საჩუქრებით, იგი, პირიქით, ყველას მადლობას უხდიდა და ყოველთვის პასუხობდა, რომ უკეთეს ხვედრს არც ვისურვებდი ჩემთვისო. იგი იყო ბერძნული ღმერთმსახურების აღმსარებელი, ძალიან ერთგული, არაკათოლიკებთან მეტად მტრულად განწყობილი, უმთავრესად კი ქალებთან. ამ აღდგომას აღსარების თქმა ისურვა ჩემთან, რასაც ახლავე მოგახსენებთ.

თქვენს უნეტარესობას ყველა ზემონათქვამი გარკვევით უკანასკნელ წერილში თავის დროზე მოგწერეთ. გორიდან რომ გამოვედით — გასული მარტიდან დღემდე, მშვენიერი ამინდი იდგა. რადგან ამ ქვეყანაში განუწყვეტელი ომები იყო, ყოველ ჩვენგანს შეეძლო წმინდა პავლეს სიტყვები გაემეორებინა ყოველდღე - ვკვდებით, მაგრამ ყოველ საათში ათასჯერ ვიხოცებითო. დაუსრულებელი ომების გამო მთელი ჩვენი ქონება მიწის ქვეშ დავმარხეთ და მარტო ტილოს ზედა ტანისამოსი დავიტოვეთ. ერთი ლოცვანი და ერთი წიგნი მაგიდაზე ისეთ ადგილას დავდეთ, რომ ოდნავი ხმაურის გაგონებაზე გაქცევისას იგი თან წაგვეღო. ტანისამოსი კი თავის ლეიბზე ეწყო, სადაც ხელი მიგვიწვდებოდა. ოთახის კარი ღია დავტოვეთ,

რომ სწრაფად წასვლაში ხელი არ შეგვშლოდა თითქმის ჰაერზე, მაგრამ უფრო უშიშარ პირობებში ვიწეკით. ასეთი ვითარება, როგორც ვთქვი, აღდგომიდან დღემდე გაგრძელდა; დანარჩენი ხალხი: კაცები, ქალები და ბავშვები დასაძინებლად ციხის ძირში მიდიოდნენ და თან ბოხჩებში შეკრული საჭირო რამ მიჰქონდათ. იქვე მახლობლად თავიანთ საქონელსაც ამოვებდნენ. მეფემ თავის დედოფალს უშიშარ სიმაგრეში – თბილისის საზღვართან ახლოს, თავი შეაფარებინა, თვითონ კი გორში დარჩა. აქ ხმა გავრცელდა – გორი სრულიად დაინგრაო, ერთ ღამეს სამი სახლი დაემხო და კაცმა არ იცის, როგორ მოხდა ეს. მეფემ, თავისი სიცოცხლე საფრთხეში, რომ არ ჩაეგდო, ციხეს შეაფარა თავი, სადაც არავის აკარებდნენ, რათა ვინმეს ღალატი არ გაეხდებოდა. ამ ადგილას მოწყობა რომ გვეცადა, შიგ ყოფნა ჩვენთვისაც მოხერხდებოდა, მაგრამ არ ვსაჭიროებდით, რადგან ბევრი რამ გვაკლდა. ერთმა განდიდებულმა ერისთავმა, გორიდან ერთი დღის სავალზე მოშორებულმა, ჯარი შეჰყარა, თეიმურაზიც თავისი ხალხით იმერეთიდან გადმოვიდა, არც ერთს არა სწაღდა პირისპირ შეხვედროდა მეორეს და არც მეორეს სურდა, შეტაკებოდა პირველს, მაგრამ თავს კი ესხმოდნენ ერთმანეთს, ძარცვავდნენ და წყვეტდნენ. ეს ამბავი კაცს ჯოჯოხეთის დიდ დღესასწაულს მოაგონებდა. ტყვედ წამოყვანილებს მაჰმადიანებზე ჰყიდიდნენ, როგორც

პირუტყვებს. და ერთ დღეს მათი ფასი იმდენად დაეცა, რომ ხუთ პიასტრეზე ჩამოვიდა. მე შემეცოდა ისინი და რადგან ფული არ მქონდა, ჩემი ბარძიმით მინდოდა მრავალი ბავშვის გამოსყიდვა. ამან არ გამიმართლა, რადგან ფული მომთხოვეს.

ამ ომის ამბებზე დიდხანს არ შეგაჩერებთ. მეორე მხარეს უკვე აღარ გაუბედავს თავდასხმა, რადგან ამ დროს აზიიდან დიდი სულთანი შემოიჭრა და ისე შევიდა ერევანში, რომ სისხლი არ დაუღვრია. არტაანელი სეფერ-ფაშა ყარსის ფაშას შეუერთდა თავისი ახალციხის სიმაგრით, რომელიც გორიდან სამი დღის სავალზეა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ქართლის პროვინციის სიმაგრეებს, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, და თბილისსაც დაეპატრონებოდნენ. აღსრულდეს უფლის ნება!

პატრი ავგუსტინელების ჩვეულებისამებრ ჩვენ თაყვანი უნდა გვეცა წმინდა კვირიაკეს საფლავისათვის, მაგრამ ამ დღეს გორში მაჰმადიანებმა ერთი ყმაწვილი ქალიშვილი და მისი დედა გააუპატიურეს. შემფოთებულნი ვფიქრობდით, რომ ამას არ შეეშალა ხელი, თაყვანი გვეცა წმინდა საფლავისათვის. კურთხეულ იყოს ღვთის სახელი! წმინდა ნაწილების განკუთვნილ ადგილას დაწყობა დასრულდა. ყველაფერი ფულით მოვაწყეთ. ეს ფული თეფშების გაყიდვით ამოვიღეთ.

ხარება დღეს ჩვენს სახლში აღსარებაზე მოდიოდნენ ზოგიერთნი –ოთხი პირიდან ერთმა სწორედ აღდგომა დღეს თქვა აღსარება, სხვებს სატანამ ხელი არ გაუშვა, ამ ხალხსა ჰგონია, რომ დროსთან ერთად მოვალეობაც გაივლისო.

შეურაცხყოფად მიმაჩნდა, რომ ყველა სასულიერო პირთან (არაკათოლიკესთან) კეთილი დამოკიდებულება მქონოდა.

ქართველების შესახებ თვით პატრიარქისაგან მივიღე ცნობა, რომ აღსარება შეუძლიათ ათქმევინონ არა უბრალო მღვდლებს, არამედ მხოლოდ ეპისკოპოსებსა და ბერებსო. ისე რომ, სიკვდილის მუხლის გაუთვალისწინებლად კვლავ აღსარების გარეშე აზიარებენ და სხვაგვარად არ იქცევიან. როგორც ვთქვი, როცა იქ ვიყავი, ხშირად უბრალო მღვდლებს უპატივცემლობით მიაქვთ მომაკვდავთან უკანასკნელი ზიარება, ან მას ბავშვის ხელით უგზავნია. ერთმა გაჭირვებულმა გლახაკმა მღვდელი იხმო, რაც მოითხოვა მღვდელმა, ის მიართვა, მაგრამ თვითონ უკანასკნელი ზიარების მიღება კი არ დასცალდა.

აღდგომა დღეს გორის მღვდელმა ზოგი ისე აზიარა, რომ აღსარება არ ჰქონდათ ნათქვამი; შემდეგ ყველას თავიდან ქუდები მოგლიჯა, რადგან არაფერი არ გადაუხადეს. მეორე მღვდელი, რომელიც დიდი სასოებით ღვთისმსახურებას ასრულებდა, აღსარებას

არავის არ ათქმევინებდა. ეს საქმე დიაკვანს გადააბარა, ეგონა ამით დიდ პატივისცემას იჩენდა მისდამი. ჩვენი ახალგაზრდა პოლონელი ყმაწვილი ერთმა მღვდელმა მკაცრად გაკიცხა: აღდგომას აღსარება უნდა თქვაო. მან არაფერი იცოდა, რას ეუბნებოდნენ. როგორ?, უპასუხა მღვდელმა, –განა არ იცი, ვინც აღსარების შემდეგ ცოდვას ჩაიდენს, ის უაღრეს შეურაცხყოფას აყენებს ღმერთს. თუ ახალგაზრდობის ასაკში კარგად ვერ იქცევი, მოხუცობის ჟამს რაღას იზამო?

ყველაზე დიდი ვაჭრობა, რასაც ეს ქართველი დიდებულები მისდევენ (ყველა მიწის მუშაა, მათ შორის საშუალო ფენა არ არსებობს: ან არიან ბატონები, ან ყმები) ქალ–ვაჟების თურქებზე გაყიდვაა. მერედა განა ცოტას ყიდიან? წელიწადში ოთხი ათასი მაინც მიჰყავთ ან ხარკის სახით აგზავნიან.

ამ წელს გულისმტანჯველი რამ ვნახე: ერთი კაცი სპარსეთის ხელმწიფესთან ელჩად უნდა წასულიყო. საკუთარი ქალიშვილი გორში მცხოვრებ სასიძოსთან დასანიშნად წაიყვანა. მას ადრე შეპირებოდა ქალიშვილის მითხოვებას, მაგრამ რადგან ჯერ მცირეწლოვანნი იყვნენ, გათხოვება შეგვიანდა. როცა გორს მიაღწია, იფიქრა: სპარსეთის მეფეს ხელცარიელი როგორ წარვუდგე, უხერხული იქნებაო და საჩუქრად თავისი ქალიშვილი მიჰგვარა. ერთმა მაზლმა საკუთარი ძმის ცოლი თურქებს მიჰყიდა, უამრავი ამისთანა შემთხვევაა, მაგრამ ყველაფერს ვერ ვწერ,

რათა წერილი გრძელი არ გამოვიდეს.

მეფე არასოდეს ეკლესიაში არ დადის, არც ერთ მარხვას არ ინახავს და ეს ყოველ დღე გრძელდება, მაჰმადიანებს უცხადებს.. იგი მაჰმადიანია და თავის ცოლთან კი პირჯვარს იწერს.

საქართველოში იმისათვის ვართ, რომ ეს საცოდავი ხალხი უფალს შევავედროთ. თითოეული ჩვენგანი აკეთებს იმას, რაც შეუძლია. მაღალმა უფალმა ინებოს და ამის შეძლება და უნარი მოგვანიჭოს. პატრი ჯაკომოს ბედნიერი გამგზავრების შემდეგ მორჩილმა ძმამ ანტონიომ ჩვენს სამლოცველოში ხანგრძლივად იქადაგა. რადგან ესეც (ანტონიო) გურიელთან წავიდა, პატრმა ჯუსტომ სამჯერ იქადაგა. პატრიარქს ბევრი საჩუქარი მიუძღვნა, რომ მისთვის გული გაეხსნა და ნება დაერთო მისი მრევლისათვის ჩვენ აღსარება გვეთქმევინებინა. რა თქმა უნდა, სატანამ ამ მოლაპარაკების ძაფი უმაღვე გაწყვიტა.

გავიგეთ ერთი აღმაშფოთებელა რამ, რომლის სიმართლეში ეჭვი არ გვეპარება. ვიცით, რომ არც ერთი ქართველი მონათლული არაა, ან მათი ნათლობა არასრულყოფილია, რადგან ნათლია ამ არსებას განბანს და მოშორებით მდგომი მღვდელი კი ფორმულას წარმოსთქვამს. ჩვენ ამის (შესწორების) სურვილი გამოვიჩინეთ, რამაც მართლმადიდებლები განაცვიფრა, დასტურს არ იძლევიან, თანაც დაგვცინიან. მე ჩემთან

ძალიან დაახლოებულ პირს საიდუმლოდ მოველაპარაკე, რომ როგორმე მოგვენათლა, თუნდაც ამით ლანძღვა-გინება მიგველო. ისეთი საშუალება უნდა გამოიძებნოს, რომ აქ უმწეო ხალხს –როგორც მოზრდილებს, ისე ბავშვებს –დავეხმაროთ. ხოლო, უწინარეს ყოვლისა, წმინდა პროპაგანდის კონგრეგაციას ვემდურებით, რომ ეს განსაკუთრებული საკითხი სწავლულ ხალხს გააცნოს. აგრეთვე, დიდად პატივცემულ უფალს და პატრებს თავმდაბლად მოვახსენებ, რომ მოილაპარაკონ და ეს საქმე გაარჩიონ. ამასთან ერთად, ღვთის მიერ ბოძებული ნიჭით, უნართა და გონების თვალთა განჭვრიტონ, რომ ის არსებანი, რომლებიც თავისი თავის ჯვარზე წამებით უფალმა წარმოშვა, სატანას ხელიდან წამებულ სულებს დაიხსნიან და ოდეს თავის გრძნობას

გამოავლენენ, კმაყოფილნი დარჩებიან რომ ქრისტეს უაღრესად წმინდა ჭრილობებში თავიანთ ტანჯვასაც ჩააქსოვენ. მე მკითხეს–ჩვენი მეგობრები ქვეყნის ყველა მხარეს მოღვაწეობენ და როგორ შეიტყობენ ჩვენი მოლაპარაკების შედეგებსო? ამაზე ჩემს პატრონთან მრავალი დღის განმავლობაში თათბირი მქონდა, მან არა მარტო მოძღვართა წიგნში, არამედ სასულიერო წიგნშიც კი ჩაიხედა და გაიგო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, მე ასე ვუპასუხე, რომ რასაც შენი სიბრძნე გადაწყვიტეს და უკეთ მიგაჩნია ის აღსრულდეს-მეთქი. ჯერ არავითარი ბრძანება არ

მოსულა. ბოლოს ჩვენ გადავწყვიტეთ შემდეგი –ის არსება, რომელსაც ეკლესიაში გზავნიან, ან თვითონ მიჰყავთ, ქრისტეს მიერ და წმინდა მოციქულებისა თუ მათი მემკვიდრეებისაგან დაკანონებული წესით უნდა მოინათლონ. თუ ამისათვის ოცი პატრის ნებასურვილიც იქნება...

ალექო 1635 წ. 24 გიორგობისთვე

დონ პიეტრო ავიტაბილე.

...ბევრი რამაა სავარაუდებელი: 1. თუ მშობლებსა და ნათესავებს უსათუოდ უნდათ, რომ ის არსება, რომელსაც გზავნიან ან მოჰყავთ ეკლესიაში მოსანათლად, მოვნათლოთ, მაშინ უნდა მივმართოთ ჩვენი უფლის მიერ დაწესებულ ნათლობის წესს, რომელიც დაარსებულია მისი წმინდა მოციქულებისა და მემკვიდრეებისაგან თანაც თუკი ამას მისიონერები ვისურვებთ. 2. განბანვის ყველა სხვა ცერემონია, რომელსაც შემდეგ წმინდა ეკლესია იყენებს საკრამენტოსათვის მისამღვნელად, ის საკრამენტოს ესენციას არ წარმოადგენს. 3. თუ მამების განკარგულებით მათი შვილები მღვდელმა სახლში მონათლა, საკრამენტო მას არ აუქმებს; თუე თავისიანები ეკლესიაში მიიხმობენ, მაშინ ამ ფუნქციისა და სამსახურის შესრულება შეუძლია უცნობსაც კი, თუკი ამის უფლება მას აქვს. 4. ამ ქვეყანაში გამოგზავნილი წმინდა რეზიდენციის

მისიონერებს უფლება გვქონდა ყველა ზემოაღნიშნული ცერემონია ნათლობის საკრამენტოს გამგეობისათვის გადაგვებარებინა. ამისი ზუსტი სიტყვები აღარ მაგონდება. ზემონათქვამის შესახებ სადმე იქნება რეგისტრირებული, არა მგონია, რომ წმინდა რეზიდენციამ საჭიროების შემთხვევაში ამის უფლება არ მოგვცეს, რომელიც ჩვენ ღვთიური კანონით გვაქვს მინიჭებული, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის ამისი მსგავსი რამ მაინც უნდა მოგვცეს. გარდა ამისა. ვამბობ, რომ შევეცადოთ მოვიპოვოთ-მეთქი ნათლიმამობა როგორც კეთილშობილთა, ისე ღარიბთა, ისე რომ, ერთნიც და მეორენიც პატივსა გვცემდნენ, თუ სხვა რამემ ხელი არ შეგვიშალა. ასევე დარჩეს ბავშვების განბანვაც, როცა ნათლობის ფორმულასაც წარმოსთქვამენ, მანამდე, სანამ უფალი სხვაგვარად არა ბრძანებს, რაც შეეხება მოზარდების სასარგებლოდ საჯაროდ ან კერძოდ წარმოთქმულ სიტყვებს, მათ მხოლოდ იხსენიებენ ხოლმე, როგორც ღვთის ნებას – რომ ისინი ქრისტიანულ ქვეყნებში გააჩინა და ყოველგვარი ჩადენილი ცოდვა შეაძულა (მას შემდეგ, რაც განაცხადეს, რომ მუდმივად ქრისტიანულად ვიცხოვრებთ). მტკიცე პირობას დებენ, რომ ღვთის შემწეობით ცოდვას არასოდეს ჩაიდენდნენ. ყოვლად წმინდა წესით, როცა კი უფლისაგან ამის საშუალება მიეცემოდათ, მოსანათლად ბავშვს წყალში ჩააყენებდნენ ან ჩააყურყუმალავებდნენ. სხვა წესების

შესახებ რაიმე გარკვეული ცნობა არა აქვთ. ჩემი მხრით, ახლაც ვერ გავიგე სხვა კიდეც რა ნებართვა შეუძლია ისურვოს კაცმა ამ საწყლებისათვის. დავთანხმდები იმ მონანიებაზეც, რომელსაც დამაკისრებენ შეცდომის ჩადენისათვის. ახლა ეს შემიძლია ვთქვა, მაგრამ, როცა შემიტყობენ ცოდვას, ვიტყვი, რომ შეცდომა უცოდინარობით ჩამიდენია, და რადგან სხვა მიზანი არა მაქვს რა, გარდა უფლის დიდებისა, ჩემი და ჩემ მოყვასთა სულის ხსნისა, მეორე ცხოვრებამ რომ არ შემადრწუნოს, მინდა ამ ცხოვრებას პირდაპირ შევხვდე. გასული ივლისის 15-ს ერთი გოგონა მოვნათლე. ამ შემთხვევაში მახსენდება, პატრმა დონ ჯუზეპემ სადადიანოში ახლად დაბადებული ერთი გოგონა რომ მონათლა – სანამ მას ეკლესიაში წაიყვანდნენ, წამალი მისცა და მონათვლის შემდეგ მაშინვე სული განუტევა.

გასული სექტემბრის ათს გორში თავისი სურვილით ჩამოვიდა წმინდა სარწმუნოების დომინიკელთა მორჩილი ძმა ჯოვანი და ლუკა, კაფას მისიონერი, რომ მოლაპარაკებოდა მისიონერ ანგოლის თავის რეზიდენციაში. მან ჯერ ჩვენი ორი რეზიდენცია მოინახულა. ჩვენმა მეფემ მას პატივი სცა იმით, რომ მისი შემოსვლა და გასვლა მთელი თოფების ბათქითა და საყვირების, ბუკისა და ნალარის დაკვრით აღნიშნა. ამ ბერმა ერთ წელზე მეტი ხნის წინათ დაწერილი სამი წერილი მომიტანა. ერთი პატრების მრჩეველი

გვადანო და კარაფასი, მეორე პატრი ბოლვინოსი და მესამე პატრი კვარტისაგან. სიღარიბეში ჩაცვნილები მათ შევბრალევივართ და ამიტომ ერთი ჩოჩორი და ათი პიასტრი მოწყალემა გამოუგზავნიათ, ხოლო ჩვენი ამხანაგები სადადიანოსა და გურიაში გაამდიდრა იტალიური საგალანტერეო ნივთებით, წამლებითა და სხვ. გვპირდება ბევრი წყალობის გამოგზავნას მომავალში, თუ ამას თვითონ იკისრებს, თორემ ჩვენ მას არაფერს ვავალებთ, (ჯოვანი და ლუკა) აქედან 12 სექტემბერს გაემგზავრა.

მეც იმავე დღეს გამოვედი გორიდან ალეპოსაკენ წასასვლელად. სადაც ჩავედი ამა თვის 14-ს. უკიდურეს გაჭირვებაში ჩავცვივდით — დიდი ხელმოკლეობის გარდა, ვალებით ავივსეთ. პატრების მომავალი მაწუხებდა. არ ვიცოდით რა გადაგვეწყვიტა. რაშიაც ფულის აღება შეიძლებოდა, თუ რამ სახლში გვექონდა, ყველაფერი გავყიდეთ, ვერცხლის ბარძიმიც კი. ყველა იმითლა ვსარგებლობდით, „რაც ჭანჭრობში გადარჩა“, ამის შესახებ ვრცლად არ მოგიტხრობთ. კაცი არ დარჩა, ვისაც ჩვენ არ შევბრალეობდით. მათ იცოდნენ, რომ ოთხი წლის წინათ ამ სახლში შემოსვლისთანავე გაგვძარცვეს, კურთხეული უფლის მიერ ბოძებული ექვსი პიასტრის გადარჩენის დროს დამჭრეს. სხვა ადგილას მაინც არ მინდა გადავიდე, რათა ჩვენი მისიონის ხარჯები არ გავზარდო, ჩემი აქ მოსვლის მიზანი არავის არ მინდა გავუზიარო, რადგან ამ

ცხოვრებაში სხვა განზრახვა მაქვს.

პატრი დონ ჯუსტო მოხუცთან დავტოვე, რომელიც საქართველოდან ჩემთან ერთად აქ ჩამოვიდა. ჩვენი პატრებისათვის რომ შემეტყობინებინა, ამისათვის კლაუდიო უნდა გამეგზავნა, თუ იქ წასვლას მარტო არ მოისურვებდა, მაშინ ერთი ბერთაგანი თანამგზავრობას გაუწევდა მას ნახჩევანელი სომეხი პატრების გარდა, რომელნიც აქ არიან. თქვენო ყოვლად პატივცემულო პატრო, გემუდარებით, რომ საჩქაროდ დახმარება გამომიგზავნოთ. ორი წელია წმინდა კონგრეგაცია მოწყალებას იძლევა, ცოტა გულმოდგინებით შესაძლებელია ორი შეწევნაც მიგველო ნაცნობებისაგან, რომელნიც, კაცმა რომ თქვას, არც უნდა შეგვეწუხებინა. დიდად საზიანო არ იქნებოდა შეწევნა აგველო გენუელი სინიორებისაგან, რომელნიც ჩემ დროს (სესხს) იძლეოდნენ ორი – სამი პროცენტით. დღეს ხუთზეც დავთანხმდები. შემდეგ ჩვენი ვენეციელი პატრების მეშვეობით აქ გამომიგზავნე. ჩემი სურვილი იქნებოდა 600 სკუდო გამოგეტანებინათ ფრანკებისათვის საქართველოში, თითოეული სახლისათვის ორას— ორასი, ეს ექსპედიცია თქვენო ყოვლად პატივცემულო პატრო, საჩქაროდ გაამზადეთ, რადგან შესაძლებელია ამჟამად ვენეციაში მოიძებნოს ალეპოში მომავალი შიკრიკი, თუ არა მომავალ თვესაც დრო დაგვეკარგება.

ალეპოში პირველ დღეებშივე მიმიღეს და

თავიანთი შეუდარებელი ხელები მომხვიეს ჩვენ ფეხშიშველი კარმელიტების პატრმა ბატონებმა, მაგრამ მეორე დღეს ღვთის შთაგონებით, და თავისი თანდაყოლილი ლმოზიერებითა და თავაზიანობით უგანათლებულესმა სინიორ ანტონიო ლიპამანომ, ვენეციის უბრწყინვალესი რესპუბლიკის კონსულმა სირიაში, თავის სახლში მიმიღო ისეთი თანაგრძნობით, რომ სხვა შემთხვევაში ამას ვერაფრით ავხსნიდი, თუ არა იმით, რომ ვიყავი ღვთის დიდად ერთგული და მისთვის პირადად თავდადებული მსახური, და ეს მაშინ, როცა არ მიცნობდა,-ვინ ვიყავი, თანაგრძნობა გვიჩვენებს. რომ მთელი ჩვენი წმინდა სარწმუნოება ჩემს პიროვნებაშია წარმოდგენილი, ყოველ შემთხვევაში, მოვალე ვარ ასე იყოს. ასევე, თქვენო ყოვლად პატივცემულო პატრო, როგორც ამ საქმის მეთაურმა არა მარტო მოსწერეთ მას საგანგებოდ გულუხვი დახმარებისათვის, არამედ გთხოვთ სამადლობელი წირვა დააყენოთ ჩვენი ვენეციელი პატრებისათვის, უბრწყინვალეს სინიორიასათვის!?, ასევე უბრწყინვალესი ჩვენი სინიორების მორჩილ ძმებისათვის, რადგან ეს სინიორე და აზნაური რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, ზამთარი აქ როგორ უნდა გამეტარებინა. დღესაც მიკვირს, როგორ მივაღწიე ჩემს სინიორესთან, რომლის მფარველობის ჩრდილისკენაც

² უბრწყინვალესი სინიორია საუკუნეების მანძილზე ვენეციის რესპუბლიკის მმართველობას ეწოდებოდა.

ორ პიასტრზე ნაკლები ფულით საქართველოდან გამოვეშურე. გარდა იმ ხარჯისა, რომელიც გზაში შემხვდა (რაც ბევრი არ იყო), 19 პიასტრი ვალი გადავიხადე, რომელიც გორში გვექონდა აღებული. ათი კი პატრ ჯუსტოს გამოვუგზავნე გასამხნეველად. უფალმა ისმინა და ამ მხარეში მოუწოდა მას, მაგრამ გაჭირვებამ შეაშინა, რომელშიაც ხშირად ვიმყოფებით. გულახდილად გეტყვი, თუ როგორ მომამარაგა ამ ღმობიერმა პატრმა: თბილისში ოთხი პიასტრი გამოვართვი, 3 პროცენტზე ნაკლები უნდა გადამეხადა არზრუმში. აქ შევეცადე 50 ამელო, რისთვისაც უნდა გადამეხადა 60, როგორც ჩვეულებრივად მიღებულია, მაგრამ როცა ვნახე ეს ყოველ მხარეში გამორიცხული იყო (ასეთი შესაძლებლობა) ვაჭრების სიცოტავის მიზეზით. მივმართე ჩემს სინიორეს და ავუწერე ჩემი გასაჭირი, თუმც რამდენადმე გაზვიადებულად. როცა მოისმინა ჩემი გაჭირვება და ცრემლისღვრის მიზეზი, იმავე საათსა და იმავე ადგილას 40 რეალი ჩამითვალა და განმიცხადა, რომ უპროცენტოდ დამებრუნებინა, და თუ მე მოვკვდე თქვენს დაბრუნებამდე, არავისი მევალე არ იქნებით, რაიმე გადაიხადოთო. ო, ყოვლად კურთხეულო პატრო.

ჭემმარიტად გულისხმიერო, ნამდვილად შემბრალებელო! მსგავსი მაგალითები შემიძლია უამრავი მოვიტანო.

როცა თქვენი ყოვლად პატივცემულების

კითხვები გამაცნესროგორც ზემოთა ვთქვი, დიდად
კმაყოფილი დავრჩი...

თქვენო ყოვლად პატივცემულო პატრო, დიდი
ხანია მოგწერეთ.

რომ ჩვენი წმინდა სარწმუნოების მიმართ
საქართველოში მყოფი პატრი ავგუსტინელები
კეთილგანწყობას ავლენენ. როცა კი შეატყობინეს
თავიანთ უფროსებს ლისაბონში, შემდეგ მთავარ პატრს
გოაში მისწერეს, მაშინვე მიმიპატიჟეს ინდოეთში, რათა
ჩვენი წმინდა სარწმუნოება იქ დავნერგოთ. დასაწყისში
მათს წმინდა მონასტერში მიწვევდნენ და
მპირდებოდნენ ბედნიერ წარმატებას იმ ქვეყანაში,
გრძნობდნენ რა ჩვენი წმინდა ინსტიტუტის
ცხოველმყოფელობას, ამიტომ განუწყვეტლივ
ვლოცულობდი და როცა ჩვენი პატრები გასულ
ავგისტოში ხანგრძლივი ავადმყოფობისაგან
განიკურნენ, მთხოვეს: რადგან იცნობთ და
წერილობითი კავშირი გაქვთ პირადად ყველა ღვთის
მსახურთან, ამიტომ ერთი ამხანაგით გოაში
გადადითო, ამ მიზნით პატრმა ავგუსტინელებმა კვლავ
მასესხეს ფული გოაში გადასასვლელად. და რადგან
ჩვენებს მიაჩნდათ ღვთის დიდ სამსახურად, მორჩილი
ძმის კურთხეული გაეტანოს სიკვდილის შემდეგ,
მოინდომეს, რომ მე მარტო წავსულიყავი.
იმედოვნებდნენ, რომ მათმა ავადმყოფობამ უკვე
გაიარა. ცხენი ვიშოვნე კიდევ და მზად ვიყავი

წასასვლელად, რომ ამ დროს უფალმა წაგვგვარა პატრი
დონ ვინჩენცო. ჩვენი განზრახვებისა და მიზნის შესახებ
დიდი ხანია მოგწერეთ. ნათელია, რომ იქ, გოაში, ღვთის
დიდებას უნდა ეზეიმა და ჩვენს წმინდა სარწმუნოებას
და წმინდა მისიას დაეკმაყოფილებინა სულიერი
მოთხოვნა ხალხისა. თქვენო ყოვლად პატივცემულებავ,
პატრო, შეუდარებლად ჩემზე მეტად
გათვითცნობიერებულნი ბრძანდებით ჩვენი
უფლისაგან და უმალ მიხვდებით, სანამ მე
გავირჯებოდე და ხელახლა აგისხნიდეთ. თუკი
დამავალებთ, სადაც უნდა იყოს, უკან არ დავიხევ,
ამისათვის შეარჩიეთ მწიგნობარნი და ჭკვიანი პირნი.
დასაწყისში ამ მოლაპარაკებამ საიდუმლოდ ჩაიაროს:
წმინდა სარწმუნოება მცირე რამეზე შეწუხდება, თუმცა,
ჩემი აზრით, უბრალოდ ეს საჭირო არ არის. თუ არ
გვინდა, მართლაც, გულგრილობა გამოვიჩინოთ.
მახსოვს, რომ ფეხშიშველა წმინდა პატრი
კარმელიტელები აზიაში ჩემს დროს ვალში
ჩაცვინულნი და ღარიბები იყვნენ, როგორც ქართველი
პატრები; ახლა, როცა უფალმა ისინი გოაში და სხვა
მხარეში შეიყვანა, ყოველგვარი ბედნიერება უხვად
აქვთ. უფალი თითოეული გულის, ენისა და ხვედრის
გზისმკვლევია.. უნდა გადაწყდეს ეს მოლაპარაკება მისი
ღვთაებრივი უდიდებულებების გასამარჯვებლად.
ღმერთის სიყვარულისათვის ისე მოაგვარეთ, რომ ამ
მხარეში, ალეპოში, გაიცეს თქვენი ბრძანება ჩვენი

წმინდა მისიონისათვის, და ეს ბრძანება გამოგვიგზავნეთ ან ვაჭრების, ან ბერების საშუალებით, რომელიც უფრო საიმედოა. საჭირო არ არის, თქვენო ყოვლად პატივცემულებავ, ეს ყოველი პატრის უბრალო წერილის საშუალებით გაკეთდეს, რადგან, ცხადია, პატრი მას შემდეგ, რაც დაწერს ამ წერილს, დაავიწყდება მისი შინაარსი. მე ბევრჯერ ვუთხარი ამის შესახებ ჩვენს პროკურატორს, საჭიროა, რომ თქვენმა ყოვლად პატივცემულობამ წერილებთან ერთად პროპაგანდა ფიდეს წმინდა კონგრეგაციას შეასრულებინოს კიდევ განკარგულება, ან კიდევ ჩვენმა წმინდა სარწმუნოებამ სთხოვოს ფეხშიშველი პატრი კარმელიტების გენერალურ მეთაურს, ჩაწეროს ასეთი განკარგულება თავიანთ მთავარ დეკრეტებში, რომ აქ, ალექსოში, თავიანთი დიდი ქველმოქმედებისა და პატივისცემის” ქვეშ მოაქციონ საქართველოს პატრი თეათინელების ინტერესები ისე, ვითომც მათი მსგავსი ბერები ყოფილიყვნენ. თანაც ვაჭრების მეშვეობით, რაც კი შესაძლებელი იქნება, უკეთ მოამარაგონ, შემდეგ ჩვენს პატივცემულ გენერალ პატრს აცნობონ, რადგან ასეთი მგზავრობა ხშირად არ ხდება. ამას ვამბობ იმიტომ, რომ დიდი ხანი არ არის, რაც თბილისში ჩამოვიდა ერთი პოლონელი, რომელიც ეძებდა ისეთ კაცს, ვისაც ენდობოდა 700 პიასტრს უპროცენტოდ (დაინტერესების გარეშე), შემდეგ კი ამ თანხას დაუბრუნებდა ალექსოში. კურთხეულ იყოს უფალი, მე

ეს გავიგე ჩემი წასვლის შემდეგ. ეს ფული რომ ამელო, არ ვიცი რა მოხდებოდა, ან როგორ პატივისცემას გამოვაავლენდი ჩვენი წმინდა სარწმუნოების მიმართ.

გორში გარდაცვლილი ჩვენი პატრებისა და მორჩილი ძმების პატივსაცემად წირვა დავაყენეთ, შევასრულეთ ყველა ის, რაც ევალება ჩვენს წმინდა სარწმუნოებას, სხვა მოვალეობა არცა გვაქვს...

ღვთის დიდებისათვის ერთი დასახლება უნდა მოვაწყოთ და ეს შესაძლებელია იმ განკარგულებით, რომელიც მომავალ საერთო თავში იქნება, აღნიშნული. ის პირნი, რომელნიც საქართველოში უნდა შემოვიდნენ, სწავლის დასრულების შემდეგ რამდენიმე ხნით რომში დარჩნენ, რათა დაეუფლონ როგორც სომხურს, ასევე თურქულ ენებს. ამას შემღებენ იოლადა, რადგან მაგ მხარეში ბევრი სომეხია. მე მგონი ამისათვის გამოვიდა გრამატიკა სინიორ პიეტრო დელა ვალესი. და ვისაც ხელში ჩაუვარდება, შეეძლება კარგად წაკითხვა ისევე, როგორც სხვა წიგნისა. ასევე მოიქცნენ სხვა წმინდა ბერებიც აღმოსავლეთში. თუ დაცდას არ მოისურვებენ და აღნიშნულ მისიონში მოსვლის შემდეგ დაიწყებენ (ენების) შესწავლას, მაშინ საზიანო იქნება პირადად მათთვისაც და ვერც ამ ხალხის სულიერ მოთხოვნებს გაუწევენ სამსახურს.

ამგვარად, აღმოსავლელები გარეგნულ ღვთისმოსაობას უფრო მისდევენ. მეორე მხრით, სულ

მცირე რამეზე აყალმაყალს ასტეხენ. ამიტომაც მათ გულში ადგილი არა აქვს სრულყოფილ ღმობიერებას, მაშინვე ერთმანეთს დამღუპველ განაჩენს გამოუტანენ ხოლმე. სხვებს უკიჟინებენ ქრისტიანები არ ხართო. ისინი სჭამენ რძის ნაწარმს ოთხშაბათსა და პარასკევს. ჩვენც ძალიან მკაცრად ვასრულებთ ამ წესს. გამონაკლისს წარმოადგენს წმინდა უფლის შობის დღე. ბევრ მარხვას ინახავენ წლის განმავლობაში; ჩვენი ამხანაგებიც, უაზროდ რომ არ დაპირისპირებოდნენ, სასურველი იქნებოდა მათაც შეესრულებინათ ყოველივე ეს ისე, როგორც ქართველებს. მე მაინც ვუპასუხე, რომ არც მათი და არც ჩემი ყოფნა ამ ქვეყანად მარადიული არ არის. თუნდაც რომ უფროსს აქ მოსვლა შეძლებოდა, რათა გაეუქმებინა ყველაფერი დიდი დავიდარაბით, მე მაინც კმაყოფილებით დავეთანხმებოდი, თუ ყველა დამეხმარებოდა. ასევე ხმასაც მივცემდი, რომ ყოველთვის (წესი) შეესრულებინათ ისე, როგორც ქართველები იქცევიან, ავადმყოფობის გამოკლებით. ამ შემთხვევაში უფროსს არ შეუძლია ასეთი ნება დართოს, ყმა კი უბრალოდ ამბობს, რომ საჭიროა ნებართვა, ვინაიდან მე ჩემი სინდისი განმსჯისო. შემდეგ დროთა განმავლობაში, ყველა ისინი, ვისაც აქეთ გამოგზავნიან, სურვილი ექნებათ უკანევე გაბრუნდნენ.

სხვა რამ არ მაგონდება.

თავმდაბლად ვემთხვევი თქვენი „ყოვლად

პატივცემულების

ფერხთ.

ალეპო 1635 წლის 24 ნოემბერი.

ყოვლად მდაბალი მსახური და ყოვლად მორჩილი შვილი

დონ პიეტრო ავიტაბილე, რეგულარული მღვდელი.

ქრისტეში ყოვლად პატივცემულ პატრ დონ მატეო სანტომანგოს.

რეგულარული მღვდლების უფროსი მღვდელი გენერალი სან სილვესტრო, რომი, რელაციონი დაწერილი საქართველოზე პატრი პრეფექტის მიერ ალეპოში 1635 წლის 24 ნოემბერს.

მოხსენება წარჩინებულ სპადასადმი 1636 წლის 14 აპრილს.

ქრისტეში დიდად პატივცემულო მამაო

თქვენს ყოვლად ბრწყინვალე პატივცემულებას წინა წერილში უკვე მოვწერე განჯიდან და გორიდანაც, თუ რა გაჭირვება და მარცვა თავს გადამხდა გზაში, ნაწილობრივ იმ უსიამოვნების შესახებ, რომელიც შემხვდა ქალაქ განჯაში, სადაც იმ მიზნით ვიყავი წასული, რომ გზად მიმავალს თბილისელი

სომხებისთვის მათგან წაღებული ჩემი ფული გამომერთმია.

იმ დროს თბილისი დაუდ-ხანს ექვემდებარებოდა და რადგან ამ ადგილებში გაჩერება მომიხდა, უტყუარი ცნობებიდან გავიგე, რომ სპარსეთის მეფეს დაუდის მოკვლა განუზრახავს. ამით უნდოდა შირაზის ხანის, იმამ-ყული ხანის, დაუდ-ხანის ძმის, განდიდებისათვის ბოლო მოეღო, რადგან მისი წარმატების ძლიერ ეშინოდა, ეს ორი ძმა თავიანთი მშვენიერი ყოფაქცევით მთელი სპარსეთის სიყვარულის საგნად იყვნენ გამხდარნი. და კიდევ იმიტომაც, რომ იმამ-ყული-ხანს თავის სამფლობელოში ჰყავდა სერალიდან წამოყვანილი შაჰ-აბასის შვილი, რომელიც მას შეეძინა თავისი ერთ-ერთი ცოლისაგან. განჯის ხანმა, დაუდმა, საიდუმლო წყაროდან იცოდა, რომ მის მოსაკლავად ბრძანება იყო გაცემული იმ დროს, როცა მე განჯაში ვიმყოფებოდი. დაუდ-ხანი ზოგიერთი თავისი მომხრეთი და მთელი თავისი ქონებით, რის წაღებაც კი შეეძლო, გადავიდა საქართველოში და შეუერთდა თეიმურაზს, რომელთანაც უკვე მჭიდრო სამეგობრო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, ისინი სპარსეთის შაჰს აუჯანყდნენ და განრისხებულებმა აოხრება დაუწყეს, პირველად ჯერ განჯას დაარტყეს. ამ დროს მე და მატეო ფიორინო იქ ვიმყოფებოდით. სიკვდილისაგან თავი რომ დაგველწია, იძულებული გავხდით ამ ქალაქის

სომხებთან ერთად გავქცეულისავით, რომელთაც გაიგეს თუ არა ეს ამბავი, მაშინვე თავს უშველეს. იმ განზრახვით წავედი, რომ ალიაჩაში თავი შემეფარებინა მონსინიორ ავგუსტინოსთან. მაგრამ ისე ჩქარა ვერ გავრბოდით, რომ მეორე დღეს ქართველები არ დაგეწეოდნენ, რომელნიც ყოველი მხრიდან მოდიოდნენ. ამის გამო ყველა იძულებული გავხდით ბარგი და ცხენები მიგვეტოვებინა, ფრიალო კლდეზე ავფოფხებულისყავით, იქ ჩაღრმავებულ ქვას ამოვფარებოდით და თავი ისე გადაგვერჩინა, ამასობაში ყველა ის სომეხი, რომელნიც შაშხანებით იყვნენ შეიარაღებულნი და ამ ადგილას გამაგრებულნი, ქართველებს ესროდნენ. ჩვენ ცხენები და ბარგი დავკარგეთ. როცა საფარიდან ამოვედით, მატეოს დახოცილი ხალხის იმდენად ეშინოდა, რომ მთლად დაძაბუნდა, რადგან ჯერ კიდევ სუსტად გრძნობდა თავს და შეუძლოდ იყო (მეც ასევე ვიყავი). ამ გარემოებამ რამდენიმე დღეში სიკვდილის კარამდე მიიყვანა ის, მაშასადამე, რადგან ორი ავადმყოფი უცხენოდ და უბარგოდ დავრჩით, ფეხით დავადექით გზას მღელვარებით სავსე ამ უცხო ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ცეცხლსა და სისხლში იყო არეული. ყოველივე ამის მიუხედავად, ღვთის დიდი იმედი მქონდა. გავმხნევედით რა სულიერად, სიარული განვაგრძეთ ფეხით, რომ მივსულიყავით ჰერაკარში და იქიდან ალინჯაში გადავსულიყავით. რადგან მატეოს

ავადმყოფობა უარესდებოდა, იძულებული ვიყავი ფრიალო მთაზე გაშენებულ სომხების ერთ სოფელში შევსულიყავით, სადაც სომხის მღვდელმა თავის სახლში დაგვაყენა. იმ მცირე ფულით, რომელიც ჩვენ დაგვრჩენოდა ცოტა პური და რძე შევიძინეთ და დავნაყრდით სანამ უფალი ინებებდა რაიმე დახმარება აღმოეჩინა ჩვენთვის. აქ მატეოს გაუუარესდა სიმსივნე და, თქვა რა აღსარება, სასოებით მიიცვალა. ამასობაში დაუდ-ხანი და თეიმურაზი ჯოგებისა და სხვა საქონლის დიდი ნადავლით საღსალამათნი დაბრუნდნენ საქართველოში. დაუდ-ხანი გორში ჩავიდა და ჩვენიანების მიმართ ისეთი გულთბილობა გამოიჩინა, რომ ვერ აგიწერთ. მოწყალების სახით ორი თუმნითაც დაგვეხმარა, რომელიც ჩვენი ფულით, დაახლოებით, 36 პიასტრს უდრის, რაც უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ პატრებს ძალიან ესაჭიროებოდათ. ეს ბატონი (ე. ი დაუდ-ხანი) უნახავთ ძალიან დაღონებული ჩვენს ბერებს, რადგან ჩემი ამბავი არ იცოდნენ. პირადად მათ დაჰპირდა (დაუდ-ხანი), რომ პირველი შემთხვევისთანავე წამიყვანდა გორში. მართლაც), ასე მოიმოქმედა. რამდენიმე დღის შემდეგ თეიმურაზმა მეორედ შეჰყარა ჯარი, დაუდ-ხანი შეუერთდა მას და სპარსეთს ასაოხრებლად მეორედ შემოესია. როცა მან განჯაზე გამოიარა, ჩემი ამბავი უკითხავს, მაგრამ ძნელად რაიმეს გაიგებდა ჩემს შესახებ, რადგან მე იქიდან ძალიან შორს, მთის ერთ

პატარა სოფელში, ვიმყოფებოდი. ამასობაში უფალმა შთამაგონა, რომ მე, რადგან ვიცოდი, ის (დაუდ-ხანი) ამ დროს განჯაში იმყოფებოდა. თვითონ გამეგზავნა მასთან კაცი, რათა მას ცხენი და მხლებლები გამოეგზავნა ჩემთვის. მე გავაგზავნე კაცი და როცა მან ჩემი ამბავი გაიგო, ძალიან გაეხარდა, მაშინვე გასცა ბრძანება, რომ ერთი ცხენი გამოეგზავნათ და სხვებს თანამგზავრობა გაეწიათ. განჯაში რომ ჩამიყვანეს, სადაც ეს სინიორე იმყოფებოდა, ვერ წარმოიდგენთ, თუ რა სიხარული შეუდგა მას. დაუდ-ხანთან, თეიმურაზთან და ჯართან ერთად გზას გავუდექით გორისაკენ. მე მას არა ვცილდებოდი, ერთხელ მან შეამჩნია, რომ მე კარვის გარეთ ვიწექი სიცივეში, ერთი კაცი გამომიგზავნა თავისი მატყლის საბნით, რათა ჩემთვის ზემოდან წაეხურა მძინარესათვის. მეორე ღამეს კი ისურვა, რომ უსათუოდ მის კარავში დამეძინა. მან არც ის ინება, რომ მე სხვა ცხენზე შევმჯდარიყავი, თუ არა მხოლოდ იმაზე, რომელიც მას საკუთრად ემსახურებოდა. ეს იყო მთლად ოქროთი მოკაზმული ერთი ჯორცხენა. შემდეგ ისევ გზა განვაგრძეთ. ამასობაში ბრწყინვალე შობის დღესასწაული ახლოვდებოდა, გადაწყვეტილი მქონდა, ჩემს ძვირფას პატრებთან და მორჩილ ძმებთან ერთად მედღესასწაულა გორში. დაუდ-ხანს ნებართვა ვთხოვე, რომ ამ დღისათვის მოვმზადებულიყავით. მან ნება დამრთო იმ პირობით, რომ ჩვენ იგი ლოცვების დროს

ღვთისათვის შეგვევედრებინა. წმინდა ტომაზოს დღეს დაუდ-ხანს გამოვეთხოვე, გორში მოველი ცოცხალმკვდარი და მხოლოდ იმან დამამშვიდა, რომ ჩემი ძვირფასი პატრები ვნახე, რომელთაც ჩვენს ეკლესიაში ღარიბული, მაგრამ კოპწია ბაგა მოეწყოთ, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მცხოვრებლებში, მის სანახავად დილით ცნობისმოყვარე ხალხი მოზღვავდა. პატრმა დონ ჯაკობომ გალობით შესრულებული წირვის დროს მშვენივრად და სასოებით თურქულ ენაზე იქადაგა სიტყვის განსახიერების საიდუმლოებაზე. ამან იმდენად დიდი კმაყოფილება გამოიწვია, რომ ყველამ სთხოვა—ყოველ დღესასწაულზე იგივე შეესრულებინა, როგორც ეს გააკეთა წირვის დროს ხალხის თავმოსაყრელად და იმათ დასაკმაყოფილებლად, რომელთაც ეს გაეგებოდათ. მეორე დღეს, შობაა. გორში მოვიდა დაუდ-ხანი. მას ისეთი მიღება მოვუწყეთ, რომელიც შეეფერებოდა ჩვენს სიღარიბეს; ერთ დილას იგი სადილზე დავპატიჟეთ ჩვენს რეფექტორიუმში. იგი იტალიურად უნდა დამჯდარიყო. სანამ პურის ჭამას დავიწყებდით, მან მოინდომა ბაგას ნახვა და იქ კარგა ხანს დარჩა. შემდეგ როცა სუფრაზე მივიწვიეთ, კვლავ მოინდომა რამდენიმე ხანი ბაგასთან გაჩერება, მერმე წავედით სასადილოდ. როცა რეფექტორიუმში შევედით და ნახა ყველაფერი სუფთად მოწყობილი, მკითხა: კმაყოფილი თუ იქნებით სულთნის ელჩის

მოსაყვანად რომ გავაგზავნო კაცი, იგი ჩემთან მოსათათბირებლად არის ჩამოსულიო. მე მას ვუთხარი: ნება თქვენია-მეთქი. მაშინვე გააგზავნა კაცი მის დასამახებლად, ელჩი მოვიდა და ჩვენთან ერთად ისადილა. მათ მოეწონათ ყველაფერი იტალიური და ძალიან ნასიამოვნები დარჩნენ. ეს თავადი ჩემდამი და საერთოდ ჩვენი საქმიანობისადმი იმდენად დიდ სიყვარულს იჩენდა, რომ ამ მხარეში ჩვენთან დაუდ-ხანის დარჩენა ფორტუნას რომ ენებებინა, სრულიად უეჭველი იქნებოდა, რომ ჩვენს წმინდა სარწმუნოებას მიიღებდა, რის შესახებაც განსაკუთრებულ ნიშნებს ავლენდა. ერთ საღამოს პატრ დონ ჯაკომოსთან ასე მსჯელობდა: ყოველთვის ჩემს თანაგრძნობას ვუცხადებდი ფრანკების ერს, განსაკუთრებით მათი სამსახურისათვის ბევრი რამ გამიკეთებია ყოველთვის, როცა კი ამისი შემთხვევა მქონია ოღონდ ქრისტიანი იყოს და მისთვის ბევრს რამეს გავაკეთებ, რადგანაც მიყვარს ქრისტე და მას ღმერთად მივიჩნევო. ამ სიტყვებზე ჯაკომომ უთხრა: ქრისტეს სიყვარულისათვის თქვენ ბევრი რამ რომ გაგიკეთებიათ, ამისათვის ქრისტე თქვენგან ითხოვს სულს. მან უპასუხა: როგორც მეუფეს, მე მსურს მას ჩავებარო, მე მას მივცემ სულსა და სიცოცხლესაც, ახლა კი გაძლევთ საჩუქარსო. ეს მისი სიტყვები ისეთი ძლიერი შთაბეჭდილებით იყო ნათქვამი, რომ ჯაკომოს დიდი კმაყოფილება გამოიწვია. მეორე დღეს კი ეს

საცოდავი (დაუდ-ხანი) იძულებული იყო გაქცეულიყო უფრო საიმედო მხარეს ისე, რომ ჩვენ ყველა დამწუხრებული დაგვტოვა. წასვლამდე მას გაგახსენდით და დიდი მოწყალებაც გამოგვიგზავნა—რვა თუმანი, რომელიც ჩვენ ფულზე 85 პიასტრს უდრის. ეს თანხა საკმარისი იყო იმისათვის, რომ შიმშილით არ დავხოცილიყავით მანამდე, სანამ მეორე სპარსელი დიდად საყვარელ ჩვენს ღმერთს გაიხსენებდა და დახმარებას გაგვიწევდა. ამის შემდეგ ჩვენ მას (დაუდ-ხანს) აღარ გავახსენდით. ამ ხნის განმავლობაში სპარსეთის ხელმწიფემ შეიტყო დაუდ-ხანის აჯანყების ამბავი და ისიც, რომ თეიმურაზსა და დაუდ-ხანს მისი სახელმწიფოსათვის ზარალი მიეყენებინათ ისევე, როგორც სულთნის ამა წლის შემოსევას. შაჰმა იმდენად ძლიერი ჯარი შეჰყარა, რომ სპარსეთს არასდროს ამდენი არ გამოუყვანია. მართალს ამბობენ, რომ 120 000 მეომარი იყო, თითქმის ყველა ცხენოსანი, და ეს იმისათვის, რომ თეიმურაზისათვის საქართველო ჩამოერთმია და მის მაგიერ დაენიშნა თავისი მაჰმადიანი უერთგულესი ქართველი მეგობარი, ან კიდევ, როგორც სხვები ამბობენ. მაჰმადიანის შვილი, რომლის სახელია როსტომ-ხანი, მეორე სახელით ხოსრო-მირზა, რომლისაგანაც სპარსეთის ხელმწიფე ძალიან დავალებული იყო, იგი მოხუცი შაჰ-აბასს გარდაცვალების შემდეგ ქართული გვარდიის მეთაური გახდა და მთელ სპარსეთში

უძლიერესი შეიქმნა, ეს შაჰი მან დასვა სპარსეთის სამეფო ტახტზე, თუმცა ზოგიერთი წინააღმდეგობა შეხვდა სპარსელებისაგან, რომელთაც სხვა შაჰის დასმა უნდოდათ. გარდა ამ მაღლიერების გრძნობისა, შაჰი ხელმძღვანელობდა შემდეგი მოსაზრებითაც, რომელიც საქართველოს შესახებ გააჩნდა.. სადაც გორი მდებარეობს და ეწოდება ქართლის პროვინცია, როსტომი - მეფეთა შტოს ეკუთვნოდა, რომელნიც ქართლის მბრძანებლები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ქართლი თეიმურაზს ერგო ცოლის მხრიდან, რომელიც ქართლის მეფის ქალიშვილი იყო. ყოველ შემთხვევაში საქართველოში ქალები სახელმწიფოს მემკვიდრეები არ ხდებიან ხოლმე და რადგან მამრობითი სქესის ხაზით მემკვიდრე არ დარჩა, ტახტი როსტომ ხანს ეკუთვნოდა და არა თეიმურაზს. ამისათვის სპარსეთის ხელმწიფემ თავისი ჯარი ყაზვინში შეჰყარა, თანაც უცხად, რადგანაც ჯარის შესაყრელად მას არ დასჭირდა დაფდაფების ცემა, არამედ საკმარისია მოუწოდოს ყველა ხანსა და სულთანს, რომლებიც მის მუდმივ მოადგილეებად ანუ მმართველებად ითვლებიან სახელმწიფოში. მათ თავიანთი ხალხი ყოველთვის გაწყობილი ჰყავთ ისე, რომ ხელმწიფის მიერ ნიშნის მიცემისთანავე ბრძოლის ველზე გამოდიან. ამგვარად, ყველა ყაზვინში გამოცხადდა, სადაც შაჰი ბრძანდებოდა. იქ მივიდა აგრეთვე დაუდ-ხანის ძმაც, როგორც ვთქვით, შირაზის

ხანი, ისეთი ბრწყინვალეობით და ხალხის საზეიმო აღფრთოვანების თანხლებით. რომ გეგონებოდათ მეორე ხელმწიფეაო. მას მიაცილებდა თანმხლები ამაღლა მისი ხელგაშლილობისა და თავაზიანობის სადიდებლად. ამასობაში ვიღაცამ ხელმწიფეს მისწერა საქართველოდან, რომ თუ გინდათ საქართველოს დაეპატრონოთ, თავიდან უნდა მოიშოროთ შირაზელი იმამ-ყული-ხანი, რადგან მთელი ქართველი ხალხის თვალები მისკენაა მიპყრობილიო. ამასაც დასძენდნენ, რომ როცა ეს შირაზის ხანი შაჰთან ერთად დააჭენებდა ქალაქში, შაჰმა შეამჩნია, რომ უფრო მეტი პატივისცემა და სიყვარული გამოიჩინა ხალხმა აღნიშნული ხანის მიმართ, ვიდრე მისი პიროვნებისადმი. ამის გამო შაჰი მიუბრუნდა მას და უთხრა: ვინ არის აქ ხელმწიფე, შენ თუ მე, შენ რომ ასე გადიდებენ ჩემი თანდასწრებითო? ამაზე იმამ-ყული-ხანმა უპასუხა: მეუფევე, თუ, ხალხი მე რაიმე პატივსა მცემს, ამას აკეთებს თქვენი უდიდებულესობის პატივისცემითო. გაჩუმდა შაჰი, მაგრამ ის საბრალო იმამ-ყული-ხანი მივიდა თუ არა სახლში, შაჰმა მისი და ყველა მისი შვილის მოკვლა ბრძანა, მთელი ქონებაც ჩამოართვა. როცა ჯარის შეყრა დაასრულა, მთელი ლაშქარი საქართველოსაკენ გაისტუმრა ერთი მაჰმადიანი ქართველის, როსტომ-ბეგის, მთავარსარდლობით და მასთან ერთად როსტომ-ხანიც გააგზავნა რომელსაც საქართველო ისე სწრაფად და საიდუმლოდ უნდა ჩაეგდო ხელში, რომ

თეიმურაზი ვერაფერს მიმხვდარიყო. ჩვეულებრივად ამას ამბობენ, რომ შაჰი ჯარს ვერ შეყრიდა უზბეკების საწინააღმდეგო ომისათვის და დღითიდღე უცდის ცხენოსან ჯარს ბალდადზე გასალაშქრებლადო. კვლავ ხმა დადის, რომ იმამ-ყული-ხანიც აჯანყდაო³. საქმის ნამდვილმა გარემოებამ კი სულ სხვა რამ გამოაჩინა, სანამ სპარსელთა ჯარი არ მოვიდა საქართველოში, მანამ თეიმურაზი სრულიადაც არ შემფოთებულა. ასეთმა ამბავმა თეიმურაზს გული ვერ გაუტეხა სრულიად, რადგან ძალიან გულადი იყო. სასწრაფოდ მოუწოდა ჯარს, იმედი ჰქონდა გამაგრებული ადგილმდებარეობისა და ქართველების სიმამაცის წყალობით სპარსელების დიდძალ ჯარს შეაშინებდა; კარგად იცოდა, რომ ძალიან ხშირად ოცი ათას ქართველს სამოცი ათასი სპარსელისათვის კუდით ქვა უსროლინებია. თავის ფიქრებს ადვილად განახორციელებდა, თუკი თავისიანების სიმამაცესთან ერთად მათ ერთგულებასაც ასევე აწონ-დაწონიდა, რომელიც მათ ძალიან აკლიათ და ნაკლებად მყარია, რაიმე ახალი შემთხვევის დროს ერთგულებას ადვილად იცვლიან ხოლმე. როცა გაიგეს, რომ ის, ვინც მოდიოდა ჯარით (როსტომი), მათი ბატონი უნდა გამხდარიყო, კახელებმა არ ისურვეს საომრად გამოსვლა, ვერ გასჭრა მუქარამ და თხოვნამ

³ ჩანს, საქართველოში იმამ-ყული-ხანის მკვლელობის ამბავმა გვიან მოაღწია.

თეიმურაზისამ, რომელსაც სამართლიანად ეკუთვნოდა სამეფო. როცა სპარსელთა ჯარი ძალიან მოახლოვდა, თავის დასაღწევად სხვა გზა ვეღარ გამოიხატა და სპარსელებს ხელთ რომ არ ჩავარდნოდა, ქართველი მეფე იძულებული გახდა თავის მეუღლე—დედოფლით, შვილებით, დაუდ-ხანიტა და სხვა მცირერიცხოვანი მსახურებით გაქცეულიყო.

თავისი სამეფოს დაკარგვის უბედურებით გულმდუღარედ ატირებული საცოდავი დედოფალი მიდიოდა, მაგრამ მისი ცრემლები საკმაო არ იყო ამ ბარბაროსების სასტიკი გულის მოსაღბობად. მეფე იმაზე იყო გაგულისებული, რომ თუნდაც ორი ათასი ოღონდ ერთგული ჯარისკაცი რომ მყოლოდა, მტერს დავამარცხებდიო. მეორე ფაქტიც უკლავდა გულს — მან ვერ გამოიყენა ის, რომ ის ქართველები, რომლებიც "სპარსელების ბანაკში იმყოფებოდნენ, თეიმურაზის მხარეზე გადმოვიდოდნენ და ისინი კი იმდენად მრავალრიცხოვანი იყვნენ, რომ სპარსეთის ჯარის უმეტესობას შეადგენდნენ.

„ღვთის წყალობის ატანა ვეღარ შეძლო“ თეიმურაზმა, ღმერთმა მას დამსახურებული სასჯელი მიაგო. თუ რატომ, ახლა მოგახსენებთ — უნდა იცოდეს თქვენმა დიდად პატივცემულობამ, რომ მას ეს უბედურება თავს დაატყდა საქართველოში ჩვენი მოსვლის ოთხი წლის თავზე. ჩვენი მოსვლიდან აქნობამდე, ეტყობა, ღმერთმა მოისურვა მისი

განუწყვეტლივი ამაღლება ჩვენს სულიერ სიდიადემდე და ჩვენ ვნახეთ იგი ამაღლებული იმ ზომამდე, რომ მას შეეძლო უკვე შებრძოლებოდა უამრავ მტერს და მაშინვე მოეპოვებინა სახელოვანი გამარჯვებაც. მაშინ ჩვენ წავედით მასთან, რათა მისი სიხარული გაგვეზიარებინა, თეიმურაზმა ეს გამარჯვება ჩვენს ლოცვებს მიაწერა. ცოტა ხნის შემდეგ მის წინააღმდეგ სხვა რამ მოხდა. სპარსეთის ახალ შაჰს მოხუცი შაჰისაგან მიღებული ჰქონდა ინსტრუქცია, რომ თეიმურაზთან კარგი ურთიერთობა დაემყარებინა და ჯილდოდ მისთვის მიეცა საბარათიანო, რომელიც ერთ პროვინციად ითვლება, და აგრეთვე სომხითიც –ესეც მეორე პროვინციაა. გარდა ამისა, თეიმურაზთან რომ უკეთესი ურთიერთობა განემტკიცებინა, მას ცოლად ქალიშვილი სთხოვა, რისთვისაც გაუგზავნა უძვირფასესი საჩუქრები: პატიოსანი თვლები–მარგალიტი, ტოპაზი.. და სხვა ძვირფასეულობა. როგორც ვნახეთ, იგი ისე უცბად ამაღლდა და მეფური ავტორიტეტით შეიმოსა. ჩვენ რომ მივედით, თეიმურაზი მარტო უბრალო და ტილოს ტანისამოსში დაგვხვდა. ხშირად აღსარებასავით უთქვამს ჩვენთან, რომ მის სამეფოში ჩვენი ყოფნის წყალობით აქვს ეს ბედნიერება მინიჭებული, მას ძალიან ბევრი ველაპარაკეთ და ბევრი რამ გავუკეთეთ იმისათვის, რომ მას სქიზმა დაეტოვებინა და უწმინდეს სამოციქულო ტახტს შეერთებოდა. მიუხედავად იმისა,

რომ ზოგჯერ კეთილი განწყობილება გამოუჩენია, ყოველ შემთხვევაში, მას ყურში მუდამ ბერძნები ჩასჩურჩულებდნენ, რის გამოც ყოყმანობდა და თავის შეხედულებაზე მაგრდებოდა: ამიტომ ღმერთმა მას ეს მკაცრი სასჯელი გამოუნახა და მის მიმართ შეასრულა ის გამონათქვამი, რომელიც ლელვის ხეხილის წინააღმდეგაა წმინდა ლუკას სახარებაში თავი 13: პატრონმა სამი წელი უცადა ნაყოფის მიღებას და მესამე წელს მოინდომა მისი მოჭრა; მეზღვემ სთხოვა, რათა ვადა ოთხ წლამდე გაეგრძელებინა. ასევე მოუხდა ამ საწყალ მეფესაც: კურთხეულმა უფალმა სამი წელი უცადა წმინდა ნაყოფს და მესამე წელს კი მეფეს მისი მოჭრა უწევდა, რადგან ერთი წლით ადრე მას უკვე შეხვდა ეს უბედურება. მასზე განრისხებულმა, არ ვიცი რა მიზეზით, სპარსეთის შაჰმა მოისურვა მის წინააღმდეგ ჯარი გამოეგზავნა გასულ წლამდე, მაგრამ შეიძლება ამ პატრების ლოცვით შეაჩერა სასჯელი აქნობამდე მხოლოდ ერთი წლით. ეს წელიც დასრულდა, იგი მაინც ურყევად იდგა და თავისი უფლისადმი სავალდებულო ნაყოფი არ გაიღო, პირიქით, მან დონ ჯუზეპესა და დონ არქანჯელოს ხელით პატრიარქს საჩუქრები გაუგზავნა, რომლებიც ხალიჩაზე მას ფეხებთან დაულაგეს. შემდეგ დამსხვრეული მტრისაგან ჩერქეზმა ისრები გააკეთა, მაშასადამე, თავისი სიჯიუტისა და უკმეხობის გამო იგი ამ წელს სავსებით დაემხო და, როგორც ვთქვი, ასე

გაუბედურებული გადაიხვეწა კიდევ მეზობელ სამეფო იმერეთში ანუ ბაში-აჩუკში თავი შეაფარა როგორც ამბობენ, იმერეთის მეფის შვილი მისი სიძეაო. დაუდ-ხანს კი უფალმა ამქვეყნიური აურაცხელი ქონება მისცა ამ ცხოვრებაში, რადგან იგი ჩვენ გვწყალობდა (თუმცა ერთი დღეც კი ვერ გამოვნახეთ მისი სულისათვის სიკეთე მიგვეზღო). იგი აქედან თურქეთის სულთანმა დაიბარა, დიდი პატივი დასდო. და თავისი სამფლობელოს ყველა ფაშაზე მეტი ავტორიტეტით აღჭურვა.

როცა თეიმურაზი გაიქცა, მის ქვეყანაში სპარსეთის ჯარი შემოვიდა. ამ ამბის შესახებ ჩვენ შუალამისას გავიგეთ გორში. როსტომ-ხანის მოსვლამ და თეიმურაზის გაქცევამ თითოეულ ჩვენგანში დიდი შიში გამოიწვია. ყველა ეძებდა, უშიშარი ადგილისათვის თავი "შეეფარებინა და გადაერჩინა თავისი ქონება. ვის მთაში და ვის უღრან ტყეში.

თქვენს ყოვლად პატივცემულობას აქ არ შემიძლია არ გაუწყობთ იმ წყალობის შესახებ, რომელიც განსაკუთრებულად უფალმა მოიღო ჩვენზე. რამდენიმე დღით ადრე, როცა სპარსეთის ჯარი ყიჟინით მოდიოდა, მე ყველა ჩემ პატრს გამოვუძახე, რათა გვეფიქრა და გვემსჯელა, რა გვეღონა როგორც ჩვენი, ასევე ჩვენ ხელთ არსებული საეკლესიო ნივთების გადასარჩენად. ყველას ერთი აზრი ჰქონდა: ჩვენ აქედან წავსულიყავით, მაგრამ უმჯობესი იყო მიგვებაძა ჩვენი

უძველესი წმინდა მამების საქციელისათვის რომის გამარცვის დროს, სხვა უფრო მტკიცე თავშესაფარი არ მოგვენდომებინა, გარდა ჩვენი პატარა ეკლესიისა, ჩვეულების თანახმად, არა ციხე-სიმაგრეში, არამედ ღია კარებში ყველას თავი შეგეფარებინა უწმინდეს ჯვარცმისათვის და, რაც ღმერთს სურდა, ის აღსრულებულიყო ჩვენს თავზე. რაც შეეხება ჩვენს ქონებას, ერთი თავაზიანი სომეხი თავის სამსახურს გვთავაზობდა, რომ მას შეგვინახავდა უშიშარ ადგილას თავის ქონებასთან ერთად. ყველა დათანხმდა, რომ (ქონება) მისთვის ჩაგვებარებინა. იგი ერთი ცხენით წაიღებდა უფრო უშიშარ ადგილას. მაგრამ კურთხეული უფალი მე რომ ყოველთვის მფერველობს, მან ისეთი დაბრკოლებანი შემეიქმნა, რომელმაც ხელი “შემიშალა ჩვენს სასიკეთოდ: იმ სომეხმა გააგზავნა თავისი ქონება სხვების ქონებასთან ერთად საიმედო ადგილას, მაგრამ სპარსეთის ჯარი უფრო სწრაფად შემოვიდა, ვიდ-. რე ესენი ვარაუდობდნენ. ჯარისკაცების ჯგუფი მათ დაეწია და ყველა გამარცვა. ჯარი შემოვიდა და. გორის მახლობლად სამი თუ. ოთხი კილომეტრის დაშორებით დაიბანაკა, ისევე ფატალურ დღეს, რადგან მარხვის მეორე კვირის პირველი უქმე იყო. როცა მომდევნო დილის წირვაზე ჩვენ მოვისმინეთ სახარება ვენახის შესახებ, რომელიც ქრისტეს სიტყვებით მთავრდება: „ჩამოგართმევ შენ ღვთის ვენახს და მოგცემ ხალხს, რომლისაგანაც უნდა მიიღო

ნაყოფი“. იმედი მაქვს, რომ ეს ასეც იქნება, რადგან ამ მრავალ სპარსელს შორის არიან ისეთებიც, რომელთაც სურთ ჩვენს წმინდა სარწმუნოებაში მოქცევა. მიზანშეწონილად მეჩვენა, რომ ახალ მეფესთან შესახვედრად ვინმე ჩვენგანი გამეგზავნა. იქ წასვლის სურვილი ბევრს ჰქონდა, ამიტომ შესაფერისად არ ჩავთვალე ამ დროს მართოდ მიმეტოვებინა ჩემი სამწყსო, ამიტომ გავაგზავნე პატრები დონ ჯაკომო და დონ არქანჯელო ავგუსტინელ პატრებთან ერთად. ჯერ არ მიახლოვებოდნენ გორს, რომ გზაზე მეფის ცხენოსანი მეომარი შემოხვდათ, რომელმაც თავის მხრივ ჩვენები მოიხმო და უთხრა: ჩვენმა მეფემ დიდი კმაყოფილებით გაიგო, რომ ვის სამეფოში იმყოფებიან ფრანკები და რადგან ეგონა, რომ თქვენ შეიძლება სადმე მთებში ხართ გაქცეულები, გატყობინებთ და უსაფრთხოების გარანტიასაც გაძლევთ, მასთან მიხვიდეთ, იგი თქვენ კარგი თვალით გიცქერით და ყოველგვარ შესაძლებელ წყალობასაც არ დაიშურებსო. ამგვარად, პატრები წინ წავიდნენ და მომავალ ჯარს შეხვდნენ. გაერთიანებულ ჯარს წინ მიუძღოდა გენერალი და უამრავი ხანი და სხვა ბატონები, მონახეს მეფე, იგი კეთილმოსურნედ შეხვდა და არავითარ შემთხვევაში ნება არ მისცა, რომ ცხენებიდან ჩამომსხდარიყვნენ. ხსენებული პატრები იქამდე გაჰყვნენ, სანამ ჯარი არ შეჩერდა. რადგან აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ ყოველ მონახულებას

თან რაიმე საჩუქარი უნდა ახლდეს, ჯარი შეჩერდა თუ არა, ამ პატრებმა საჩუქრად მიართვეს იტალიიდან ჩამოტანილი ზოგი რამ პატარა ნივთი, როგორც იყო ერთი სარკე, მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული, მწვანე მინის ლარნაკი, ბუდე მაკრატლით და მოოქრული პატარა დანები. ესენი მას ძალზე მოეწონა და შეგვატყობინა – რადგან დღეს დაღლილი ვარ, თქვენ აუდიენციას ვერ გაგიმართავთო, გორში გავბრუნდები თუ არა, სადაც დიდხანს დავყოფ, თქვენ უეჭველად გინახულებთო. შემდეგ პატრები ხელმეორედ მივიდნენ მის სანახავად, მანაც დიდი წყალობა უბოძა. მაშინვე მოატანინა გამაგრილებელი სასმელები და მისი თანდასწრებით საუზმე გამართა. რადგან მარხვა იდგა, პატრებმა ბოდიში მოიხადეს. მან თავის მდივანს უბრძანა: წერილობითი საბუთი მიეცა, არავინ გაბედოს და არავითარ შემთხვევაში პატრები არ შეაწუხონო. დიდად დაგვირდა, რომ ააშენებდა მონასტრებს, ეკლესიებს და სხვა ნაგებობებს, მაგრამ მე მგონი ის არაფერს გააკეთებს, რადგან მისი ჯარი უკვე წავიდა. 'მისგან მოცემული არც ერთი სახლი არა გვაქვს, თუმცა ყოველგვარ წყალობას გვპირდებოდა თხოვნის დროს. იგი განსაკუთრებული თანაგრძნობით გვიცქერდა და თავის მმართველსაც ავალეზდა, რომ ჩვენ ყურადღებით მოგვეპყრონ, რამდენ ხანსაც აქ დარჩა ჯარი, მისი ყველაზე წარჩინებული პირნი მოდიოდნენ ხოლმე პაწია ეკლესიისა და სახლის სანახავად ყველა პატივსა

გვცემდა დიდი მოწიწებით ლარას ხანი, სახელად შავერდი-ხანი, ძლიერ თავაზიანი იყო. დაუდ-ხანს წასვლის წინ ვუსაჩუქრეთ პატარა სურათი, სამაგიეროდ მას უნდოდა მაშინვე დავესაჩუქრებინეთ. წასვლის დროს უბრძანა, რომ ჩვენ მოწყალების სახით მოგვცენ თუმათი ჯარის უკან დაბრუნების დროს იმავე პატრებმა დონ ჯაკომომ და ანტონიომ იგი ხელმეორედ მოინახულეს, ცოტაოდენი საჩუქრები უბოძეს, მან ბრძანა, რომ ჩვენთვის მოეტანათ ოცი პიასტრი და ბოდიშიც შემოგვითვალა, რადგან ჩემი ოჯახიდან დიდი ხანია წამოსული ვარ, ამიტომ მეტის მოცემა ვერ მოვახერხეო. ყველა სხვა ხანმაც და წარჩინებულმაც, რომელნიც ჩვენს სანახავად მოვიდნენ, დიდი წყალობა გაიღეს. აქედან შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თქვენო დიდად პატივცემულებავ, თუ რაოდენად გვმფარველობს ღმერთი და ოდეს უკიდურეს გაჭირვებაში ვყოფილვართ ჩაცვენილნი, ყოველთვის მისი მადლიანი ხელით დახმარება მოგვევლინებია. რასაც ქრისტიანები ჩვენთვის დაიშურებენ ხოლმე, მაშინ თვით მაჰმადიანები იჩენენ ჩვენზე მზრუნველობას.

უმორჩილესად გთხოვთ, იმდენი გამოგვიგზავნოთ, რამდენიც

სიცოცხლის შენარჩუნებისათვის არის საჭირო. მეტი არა!

დაახლოებით ერთ თვეს რომ აქ იდგა სპარსელი ჯარი, ამ ხნის განმავლობაში გამოქცეული ჯარისკაცების ერთი ჯგუფი ხან ერთ სოფელს აწიოკებდა და ხან მეორეს ტყვეების შესაძენად და, ვისაც ხელში ჩაიგდებდა, ყველას მარცვაჟდა. მეფე და გენერალი ხშირად ჩივიან ჯარისკაცების აღვირახსნილობაზე. მხოლოდ გორი გადარჩა ხელშეუხებელი, სადაც ქართველები და სომხები ცხოვრობენ. ჩვეულებრივად ამას ჩვენი პატრების ლოცვას მიაწერეს, რომელნიც როგორც კედელი ისე უწევდნენ წინააღმდეგობას მტერს ღვთის სამართლიანობით, შემდეგ ჯარი კახეთისაკენ გაემგზავრა, რომელიც, როგორც ეს მხარეც, თეიმურაზის სამემკვიდრეოში შედიოდა. თეიმურაზის ერთგული ხალხი აქა-იქ ციხე-სიმაგრეებში გამაგრებულიყო და როსტომისადმი დამორჩლებას არ აპირებდა. ისინი კარგად იყვნენ შეიარაღებულნი, ტყვია-წამალი და სურსათ-სანოვაგეც საკმარისი ჰქონდათ. დიდი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ (სპარსეთმა) ყველა მაინც ვერ დაიმორჩილა. ამ ომში ოცი ათასი მეზრძოლი დაკარგა ახლაც არიან ისეთებიც, თუმცა ცოტანი, რომელნიც თეიმურაზის ერთგულნი დარჩნენ. მერმე სპარსეთის ხელმწიფისა და ასევე გენერალისაგან ბრძანება მივიდა, რომ ამ ქვეყანაში ოთხი სიმაგრე აეგოთ. ორი უკვე ააშენეს და მესამეს გორში აშენებენ. ამ სამუშაოს შესასრულებლად მთელი

ჯარი მოვიდა. შორს კი არ დაბანაკდა, როგორც პირველად, არამედ შიგ ქალაქში და მეზობელი სოფლებიც კი დაიკავეს, იქ მცხოვრები მდაბიო ხალხისაგან ჩვენ დიდად განებივრებულნი არ ვიყავით, ოღონდ ყველა წარჩინებულისაგან კი ამჯერად დიდ პატივისცემას ვიმსახურებდით. ცხენების მწმენდავები, მზარეულები, მაღაზიის ნოქრები, აქლემების მარეკნი და სხვა მსგავსი ხალხი ჩვენ სხვაგვარად, თავსი ძლიერი ცნობისმოყვარეობით გვაწუხებდა. ისინი წვრთნით დაკავებულნი არ იყვნენ როგორც ჩვენში, იტალიის ჯარში, იციან. არამედ უსაქმოდ დაიარებოდნენ ხან აქ, ხან იქ, რომ რაიმე ენახათ, და რადგან იცოდნენ, რომ ფრანკები ძალიან თავაზიანნი არიანო. ამიტომ ჩვენ ვერ შევძელით შეგვეკავებინა დიდძალი ხალხის ჩვენ სახლში შემოსვლა. ამ დრომდე სიღარიბის გამო ვერ შევძელით სახლისთვის ალიზის კედლით ღობის შემოვლებაც კი. გარშემო ბოდებითაა შემოკავებული, რომლებშიაც წნელებია გაყრილი და ზედ ძალიან დამტვრეული კარი ჰკიდია. ისე რომ, როცა: ეს თავხედი ხალხი ხროვად მოდიოდა, კარი ჩამოვარდებოდა ხოლმე, რაც დღეში თხუთმეტჯერ და ოცჯერაც ხდებოდა. როცა შიგნით იყვნენ, არაფერს ამბობდნენ, სხვა არაფერი სურდათ, გარდა იმისა, რომ ენახათ ჩვენი სახლი. დრო აღარა გვექონდა, რომ დაგვეძინა, გვეჭამა და ლოცვა გვეთქვა, რადგან განუწყვეტლივ მოედინებოდა ხალხი, რისთვისაც საჭირო ხდებოდა

დამაბული ყურადღებით ვყოფილიყავით, რომ რაიმე ნივთი არ მოეპარათ. ეს ხალხი სხვის ქონებაზე ხარბია, ისე ქურდობენ მარჯვენა ხელით, როგორც ჩვენს იტალიაში. იმდენი შემომსვლელ-გამსვლელი იყო, რომ აღარ შეგვეძლო ნაქურდალის აღრიცხვა. ყველაფერზე თვალის დაჭერა ძნელი იყო: აქეთ რამდენიმე ხილაბანდი ელაგა, იქით სუფრები, დანები და სხვა მისთანანი. რამაც ჩვენ ყველაზე მეტად გული დაგვწვა, ეს იყო ის, რომ, როცა ერთმა ჩვენთაგანმა წირვა მოათავა და ეკლესია დააცალიერებინა, რომელიც სავსე იყო ამ არამზადებით, სახლიდან მათ მოეპარათ ჩვენი ბარძიმი, რამაც ჩვენ ძალიან დაგვადონა, .რადგან სახლში მხოლოდ ორიღა დაგვრჩა. მაგრამ ყველაზე თავსახლელი გავციხდა ის, რომ ჩვენს ეკლესიაში გვქონდა თანაბარი ზომის ძალიან ლამაზი პირისახიანი ორი ხატი. ჩვენი უფლის ქრისტესი და ჩვენი უწმინდესი დედისა. სპარსელებს ძალიან მოეწონათ და მოხიბლულნიც დარჩნენ ამ სურათით. ზოგიერთნი ამბობდნენ კიდევ, რომ ფრანკების ეკლესიაში არიან უსაზღვრო სილამაზის ყმაწვილი ქალ-ვაჟიო. იმას კი აღარ შენიშნავდნენ, რომ ესენი დახატულნი იყვნენ. ამ ხმამ ელვის სისწრაფით მოიარა მთელი ჯარი და ყოველი მხრიდან ხალხი მოაწყდა. ყველა –დაწყებული მდაბიო ხალხიდან ჯარის მეთაურამდე –ამ ქალ-ვაჟის ნახვის სურვილს გამოთქვამდა. მრავალ ათასამდე კაციდან ეროიც კი არ დარჩა ისეთი, რომელიც ჩვენს

სახლში არ მოსულიყოს. წარმოიდგინეთ, თქვენო ყოვლად პატივცემულებავ, რა ჯაფა დამადგებოდა, ამდენი ხალხისთვის აუდიენცია მიმეცა. ჯერ ვერ გავიგე, ეს ხმა საიდან დაირხა. უმთავრესად რასაც მდაბიოებში ლაპარაკობდნენ იყო ის, რომ ეს ახალგაზრდები სომხები არიანო, მეორენი აცხადებდნენ, რომ ესენი მონებად წაყვანილი ქართველები არიან, რომლებიც ჩვენგან გაიქცნენ და ფრანკებთან მივიდნენო. იმასაც ამბობდნენ, რომ მაჰმადიანები არიანი და ფრანკების სახლში თავი შეაფარეს იმისათვის, რომ ქრისტიანობა მიიღონო. საბოლოოდ ასეთ მითქმა-მოთქმიდან მივხვდით, რომ საქმე ეხებოდა იმ ხატებს. ასეთი ხელსაყრელი შემთხვევით ვისარგებლეთ და თავისუფლად ღვთის სიტყვა ვიქადაგეთ მათთან, რომელნიც ჩვენთან შემოდრიოდნენ. ყოველ პატრს თავის ეზოში ზოგს ოცი და ზოგს ოცდაათი მაჰმადიანი ჰყავდა. მათ მაჰმადიანური რჯულის სიყალბეს უმტკიცებდნენ. ღვთის მადლით ყველა თურქულად ლაპარაკობს (ეს ენა სპარსელებსაც ესმით) ამიტომ შეუძლიათ სხვას გააგებინონ და თვითონაც გაიგონ სხვისი ნათქვამი. ყოველთვის დიდი ყურადღებით ვისმენდით, რასაც თვითვე ლაპარაკობდნენ.

თქვენო ყოვლად პატივცემულებავ, აქ უნდა დავსძინო, რომ სპარსელები თურქებს არ ჰგვანან რომელთაც არ სიამოვნებთ, როცა მათ სჯულზე ვინმე

შეეკამათება. სპარსელები სიამოვნებით მოდიან ჩვენთან სასაუბროდ. რადგან მშვიდი ბუნებისანი და ქრისტიანების მიმართ შემწყნარებლები არიან. ჩვენი სახლიდან გასვლისას ამბობენ, რომ ქრისტე ძალიან გვიყვარსო და ჩვენც უნდა ვუპასუხოთ, რომ ასევე გვიყვარს მაჰმადი და ილიაო, სხვანაირად პასუხს არც. ელოდებიან და ცნობისმოყვარეობით გვეკითხებიან, თუ სად იმყოფება მაჰმადი. შესაფერ პასუხსაც იღებენ მის აუგიან ცხოვრებაზე, რასაც ისინიც არ უარყოფენ; ხშირად ჩვენებს ისინი მათი რჯულის სიყალბეში იმდენად დაურწმუნებიათ, რომ თავიანთ სარწმუნოებას ადვილად მიატოვებდნენ, სიკვდილისა რომ არ ეშინოდეთ. ამათ რომ სძლიო, საჭიროა დიდი დრო, ღვთიური მადლის განსაკუთრებული სინათლე. მოკლე დროის მიზეზით ვერ შევძელით ბევრის სურვილის მომწიფება, რომელთაც სძულთ თავიანთი სექტა. უკვე დაიწყეს ყოველ დღე ჩვენთან საიდუმლოდ მოსვლა და ჩვენი სარწმუნოების საფუძვლების მოსმენა, მაგრამ იძულებული გახდნენ თავიანთ ჯარს გაჰყოლოდნენ და დაბრუნებულიყვნენ სპარსეთში. იქ, ისპაანში, მყოფ ჩვენს პატრებს ზოგიერთებზე შუამდგომლობის წერილები მივწერეთ, რათა ესენი გაექრისტიანებინათ და ჩვენს სარწმუნოებაზე მოექციათ, რითაც ჩვენს სურვილსაც შე-ასრულებდნენ. ის, რამაც ჩვენი ცხოვრების წესით მოხიბლა ისინი, იყო შემდეგი –როცა ჩვენი სახლის ყველა კუნჭული

მოძებნეს და ვერ ნახეს ქალები, ყველა კითხულობდა, სად იყო ჩვენი ჰარემი, რაც ნიშნავს სერალიას, ამაზე ჩვენ ვუპასუხებდით ხოლმე: ქრისტიანი მღვდლებისათვის ასეთი რამ დაუშვებელია. ისინი ფრიად განცვიფრებულნი რჩებოდნენ.

როცა ჯარი გორში იდგა, ერთ ღამეს ეკლესიის გარეკარი გატეხეს, მაგრამ შიგნითა კარში ვეღარ შეცვივდნენ, რადგან ჩვენ საიდუმლოდ რკინის პატარა ჯაჭვითა გვქონდა დაბმული. ქურდებმა ვერ გაიგეს ხმაურობა პატრი დონ ჯუსტოსი, რომელიც ამ დროს ჯერ დასაძინებლად არ წასულიყო. მან სხვა პატრებს დაუმახა და ქურდებმაც მაშინვე მოჰკურცხლეს, დანაკლისი სხვა არა გვქონდა რა, გარდა იმ პატარა ჯაჭვისა, რომელიც თან წაიღეს. გადავწყვიტეთ ამ კარის წინ კედლის ამოშენება და მეორე ოთახში ჩვენი გადასვლა წირვის დასაყენებლად. კარგად ვერ მოეწყო საქმე. ვიცოდე ჩვენი წმინდა სარწმუნოების ყველა მტერი ბოლოს შეეცდებოდა რაიმე თავხედობა ჩაედინა წირვის დროს, ან სისხლი დაეღვარა ან უღირსად მოპყრობოდა ქრისტეს უწმინდეს სახეს. მეორე დღეს ჩვენ ძალიან შევშინდით, როცა დავინახეთ, რომ ჩვენს მესერს ცეცხლი მოჰკიდებოდა, და რომ მალე არ გვეშველა, ყველა ჩავინთქებოდით. ამის შესახებ მეფეს მივმართეთ. მან მაშინვე ერთი კაცი გამოგვიგზავნა რომელსაც ჩვენთან მოზღვავებული ხალხი უნდა გაერეკა, მაგრამ ამან მცირე ნაყოფი გამოიღო, რადგან ის

(გამოგზავნილი კაცი) მხოლოდ მაშინ 'მოდიოდა, როცა სადილობის დრო იყო. შემდეგაც მეორედ ვახშობისას მოდიოდა.

გენერალი, რომელსაც ქართველები სარდალს უწოდებენ, ხედავდა, რომ გორის სიმაგრის აშენება დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, მოისურვა, ამ სიმაგრის ნახატი (გეგმა) სპარსეთის ხელმწიფისათვის გაეგზავნა. მან კარგად იცოდა, რომ ჩვენს სახლში შეეძლოთ დახატვა. ამიტომ გამოგვიძახა. წავიდნენ პატრი ჯაკომო და. დონ კრისტოფორო, (გენერალმა) ესენი დიდის სიყვარულით მიიღო და სთხოვა, რომ აღნიშნული ნახატი შეესრულებინათ. რადგან პატრი ჯაკომო უჩიოდა—ჯარისკაცები თავს ძალიან გვაბეზრებენო, გენერალმა სიტყვა მისცა, რომ მათ შემაწუხებლებს სიკვდილით დასჯიდა, მუცელს გაუფატრავდა. პატრმა დონ კრისტოფორომ (ციხის გეგმა) ძალიან კარგად დახატა და წაუღო გენერალს: მან ისეთი სიხარულით მიიღო, რომ ვერ აგიწერთ, გენერალმა მეორე დღეს იგი თავის ბატონს —სპარსეთის შაჰს —გაუგზავნა. გენერლის წყალობით ხალხის მოზღვავება შეჩერდა. საკმარისი იყო ეთქვათ, რომ გენერალს არა სურს იმ სახლში ვინმე შეწუხდეს, სადაც ხელმწიფესთან წარსადგენად სიმაგრის ნახატი სრულდებაო, რომ თავმომაბეზრებელი ხალხის დევნა მაშინვე შეწყვეტილიყო. მაგრამ ჩვენი ტანჯვა აქ არ გათავდა. ორმოც დღეში სიმაგრის შენება საბოლოოდ

დასრულდა, რომელზედაც მთელმა ჯარმა იმუშავა, ჩვენ გვეგონა, რომ ეს სამუშაო დასრულდებოდა თუ არა, ჩვენ ტანჯვას ბოლო მოეღებოდა. ჯარის წასვლის წინ იმ საღამოს ჩვენი ნივთების სანახავად ჯარისკაცების შეყვანა მოვიწოდეთ. სიმაგრის კედლებზე და პატარა გორაზე, რომელზედაც სიმაგრე მდებარეობდა, დიდი რაოდენობის შაშხანით მსროლელი განალაგეს, რომ დიდი საზეიმო სროლა აეტეხათ. სიმაგრე ჩვენი სახლის ზემო ბასტიონზე იდგა. სროლა დაიწყო ვახშმის შემდეგ. ჩვენს სახლში ჩემთან საუბრობდნენ პატრები: დონ ვინჩენცო. დონ ჯუსტო და დონ ანტონიო. ორმა შაშხანოსანმა ერთიმეორის მიყოლებით ორი ტყვია გამოისროლა ჩვენკენ იმდენად ახლო, რომ პატრი არქანჯელო ცოტა ადრე რომ არ წასულიყო, ერთ-ერთი ტყვია მაინც მოხვდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ პატრმა ჯაკომომ გამოიარა შუა ეზოში და მეორე შაშხანის ტყვიამ ზედ თავზე გაუარა. ეს რომ მოხვედროდა, მხოლოდ ღმერთმა იცის, რაც ჩვენ თავს დაგვატყდებოდა. ჯარი დილამდე განაგრძობდა სროლას. ჩვენს სახლში ერთი გიჟი შემოვიდა: გიჟი იყო, თუ თავს იგიჟიანებდა, რომ ჩვენგან რამე. მოეტაცა. იგი ყველას ქვებს ესროდა და თან ამბობდა: აი, ესენი არიან, ის ქეშიშები, მე რომ უბედურება დამმართეს, მიშველეთ, მიშველეთო. ბევრი თავმომწონე კაცი მოვიდა და, მიუხედავად მისი ჭირვეულობისა, ჩვენი სახლიდან გააგდეს. ჯარისაგან მიყენებული

უბედურება აქ თავდებოდა, მაგრამ მან ასეთი კვალი დატოვა: მთელი სოფელი განადგურებული იყო ისე, რომ ერთი ბალახის ღერსაც ვეღარ ნახავდით – ცხენებსა და აქლემებს ყველაფერი მოეძოვათ. დახოცილი აქლემებისა და სხვა ცხოველების აყროლებული გვამები მიწაზე ეყარნენ. ამ ქვეყანაში ჯანსაღი ჰაერი რომ არ ყოფილიყო, შავი ჭირი გაჩნდებოდა. ყველაფერი ისე გაძვირდა, რომ სადაც წინათ ერთი ფასი ღირდა, ახლა ათი გახდა. ჩვენ უფალი დაგვეხმარა და ფული თბილისიდან გამოგვიგზავნეს. ახლა ჩვენ გამოგვიგზავნეს განჯიდანაც ის 15 თუმანი 37-დან, რომელიც ჩვენგან წაიღეს და აქამდე ვეღარ შევძელით მისი ამოღება, რადგან ხშირად ვერ ჩავაკითხეთ, თუმცა ამის შესახებ მეფის ბრძანება გვაქვს, რომ ჩვენ დაგვაკმაყოფილონ.

ჯარი წავიდა თუ არა, აჭ დარჩა მეფე ციხესიმაგრისათვის საჭირო სურსათ-სანოვარის მოსამარაგებლად. ჩვენი და პატრი ავგუსტინელების ეკლესიის გარდა, სხვა მრავალი საყდრიდან არც ერთი არ იყო ღია. ქართველების ეკლესიები, რომელიც სიმაგრეში იყო მოთავსებული, მაჰმადიანების მეჩეთებად იყო გადაკეთებული, უფრო უარესი – სომხების ეკლესია ცხენების თავლად იყო გამოყენებული. მაჰმადიანებმა ცხენების თავლა თავიანთ ატრიუმებშიც გაიკეთეს, თითქოს ამით უფალს უნდოდა ეჩვენებინა ამ ხალხისათვის, რომ

ყველა მათი ღვთის მსახურება შემზარავია, გარდა წმინდა კათოლიკური ეკლესიისა.

რაც შეეხება იმ ნაყოფს, რომელიც ამ ქვეყანამ უნდა მოგვცეს, თქვენო ყოვლად პატივცემულებავ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ამდენ ომიანობასა და მრავალი მეფის გამოცვლაში, რადგან ყოველ წელიწადს აქ ჩვენ გვყავს ახალი ბატონი-მეფე: პირველად იყო თეიმურაზი, იგი სიმონ-ხანმა შეცვალა; ეს რომ მოკლეს, ხელმეორედ დაბრუნდა თეიმურაზი, უკანასკნელი მეფე. კი სპარსეთის შაჰის მიერაა დანიშნული. ეს რამდენ ხანს დარჩება, ღმერთმა უწყის. საკმარისია ითქვას, რომ ხალხი უკვე შფოთავს. ეს მეფე დიდ თავმოწონებასა და ფუფუნებაშია. როსტომ-ხანს სამართლიანობა უძღვის წინ. მას სამართლის საქმეში თხუთმეტი წელი უმსახურია სამეფო ქალაქ ისპაანში, იგი მაჰმადიანია, მაგრამ დიდად ხელს უწყობს ქრისტიანებს, ამ მიზნით ხშირად შედის პატრი ავგუსტინელების ეკლესიაში წირვის მოსასმენად. პატრმა ამბროზიომ” მას გადაუკრა სიტყვა – ეკლესია სასეირნო ადგილი არ არისო. ამის შემდეგ როსტომ-ხანი აღარც შემოსულა, მაგრამ როცა ზარის ხმის მოსმენა მოუწინა, მონასტრის ეზოში დაარეკვინა.

აქამდე ეკლესიისა ჯერ არაფერი დაუკავებია, გარდა ერთი სოფლისა, რომელიც აქ მდებარეობს და Genrale-ს სახელი აქვს შენარჩუნებული. უფალმა

ინებოს და მას გონება ისე განუნათლოს, რომ სრულყოფილი კათოლიკე გახდეს. მაგრამ ეს სპარსეთის შაჰზეა დამოკიდებული და ძალიან ძნელია, ის ქართველები, რომლებიც აქ დარჩნენ, ძალიან ცოტანი არიან და თითქმის ყველა რენეგატია. ჯარში ზოგიერთი კეთილი სულის პატრონია. ისინი ნებაყოფლობით ქრისტეს დაუბრუნდებოდნენ, რომ მათთვის ნება დაერთოთ აქ დარჩენისა. ჯარის წასვლისას, აქ გამოგზავნეს ერთი იუზბაში, ანუ ასისტავი იმის გასაგებად, აქ ხომ არავინ რჩებოდა.

ჩვენ დროს არა ვზოგავთ, შესაფერისად ვუწამლოთ განსაკუთრებით ეპისკოპოსებს და საეკლესიო სხვა პირებს, რომლებთანაც ყოველთვის ვსაუბრობთ მათს ცრუმორწმუნოებაზე, მაგრამ ძალიან ურწმუნონი არიან. ერთმა მათგანმა ერთ დღეს ძალიან კარგად ილაპარაკა თავის რჯულზე. თქვა, რომ ეპისკოპოსები ხორცს არ ჭამენო და თქვენები კი მიირთმევენო. პატრმა დონ ჯაკომომ უპასუხა. რომ ქრისტე ჭამდა ხორცსაო. მან ეს უარყო –ქრისტეს ეს არასდროს ჩაუდენიაო. მაშინ პ. დონ ჯაკომომ აიღო ქართული სახარება და წაიკითხა, თუ როგორ იდღესასწაულეს ბატკნის აღდგომა... როცა ნახა, რომ გაება, ვერაფერი თქვა გარდა შემდეგისა: მე მეგონა, ქრისტე მხოლოდ დაესწრო დღესასწაულს, ჭამით კი ხორცი არ უჭამიაო. ყველა იქ მდგომმა სიცილი დაიწყო. ერთმა სომეხმა, რომელიც ამ ქვეყანაში ყველაზე

ნასწავლად ითელეობდა, მკითხა. რომ მისთვის ჭემმარიტება მეთქვა: ვის უფრო «უკეთესი რჯული აქვთ: ქრისტიანებსა თუ მაჰმადიანებს? მეორემ ერთი სპარსელისაგან ოსტატურად ნათქვამი მოისმინა: ყველა ნაკუწნაკუწად უნდა აქციო, უნდა მოსპო ქვეყანაზე ყველა სექტა და მარტო მაჰმადიანური სარწმუნოება დატოვო. დიახ, თუ ასე გაუსწორდებიან ქრისტიანებს ამის პრეტენზიის განმცხადებლები, მაშინ ჭემმარიტება დაიკარგება ქვეყანაზე, მაგრამ ქრისტიანები მაინც მიაგნებენ მას. ჩვენს ასეთ საუბარს ყველა იჯერებს. იმ მაჰმადიანმაც აღიარა, რომ ისეა, როგორც თქვენ ამბობთო. როცა ჩვენები მიდიან მათ მღვდლებთან, მაშინ ისინი გვეთანხმებიან ხოლმე, თვით ეს მღვდლები და ეპისკოპოსები აღიარებენ, რომ ჩვენი ნათქვამი სწორეა, მაგრამ ამის შემდეგ კი არაფერს აკეთებენ და უმეცრებად რჩებიან. სხვებს იმის უარყოფა არ შეუძლიათ, რომ ჩვენი ცხოვრება კარგი არ არის, მხოლოდ ამას ამბობენ, რომ თვითონ კეთილნი ხართ, მაგრამ თქვენი სარწმუნოება სევდიანიაო.

ეს არის ყველაფერი ის, რაც შემეძლო მეთქვა, თქვენი ყოვლად პატივცემულობისათვის. ერთი თვეა გადაწყვეტილი მქონდა ამ წერილის. დასრულება, რომ მოულოდნელად დადიანთან ნამყოფი ბერი ნიკიფორე არ გამოჩენილიყო, მისგან მინდოდა მომესმინა რაიმე. ახალი ამბავი ან იმ მეფეებზე, ან ქვეყანაზე, რომელსაც

ჩვენი მიზანი შეეხებოდა. ყველა ერთად

უმდაბლესად თავს გიკრავთ და სიყვარულით ფერხთ
გეამბორებით, გთხოვთ ლოცვები აღავლინოთ მთელი
ჩვენი წმინდა სარწმუნოებისათვის.

დაწერილია გორში საქართველოში
(გურჯისტანში)

1633 წ. 1 ოქტომბერს.

თქვენს ყოვლად პატივცემულებას წერილის შემდეგ.
ახალი აჯანყების ხმა დადის ამ მხარეში, რადგან ახალი
მეფე შაჰთან გასაგზავნად ყოველ ოცდაათ ოჯახზე
კარგი აღნაგობის მქონე ვაჟსა თხოულობსო, სომხებმა
ამაზე უარი განაცხადეს. ახალი წესების შემოღების
წინააღმდეგნი არიან, ახალგაზრდის მაგიერ ფულის
მიცემას ამჯობინებენ. ქართველების გადაწყვეტილების
შესახებ დღემდე არაფერი ვიცი. მხოლოდ, როგორც
ვთქვი, ხალხში აშკარად ლაპარაკობენ თეიმურაზის
მოხმობაზე, ემინიათ, ასეთი ხარკი ყოველწლიურ
ხარკად არ დაკანონდესო. შაჰის კარიდან ერთი
სულთანის მოვიდა დიდძალი ხალხით როსტომ-ხანის
დასაცავად. ქართველ ბატონებს შაჰმა შემოუთვალა,
რომ მოვაგვარებ თუ არა თურქეთთან არეულობის
საქმეს ვანში: მერე მინდა ჩავიდე ერევანში, სადაც
ყველას გამოგიძახებთ პირადად თქვენი გაცნობის,
მიზნითო. ეს დაბარება ყველას აეჭვებს – იქნებ ყველა
სიცოცხლეს გამოასალმოს, რათა მომავალში ამ მხარეში
არავითარი აჯანყება აღარ მოხდესო. რაც შეეხება ჩვენს

მოლაპარაკებას, მასაც უდიდესი დაბრკოლება ელობება წინ.

კურთხეულ არს უფალი, უმდაბლესნი მსახურნი და უმორჩილესნი შვილნი უფლისა დონ პიეტრო ავიტაბილე და რეგულარული მღვდლები.

ქრისტეში დიდად პატივცემულ პატრს, წმინდა სილვესტროს რეგულარული კლირიკოსების მღვდლების უფროს გენერალს, დონ სტეფანო მედიჩის რომი.

თარგმნა ბეჟან გიორგაძემ

Don Pietro Avitabile

Molto Reverendo in Christo Padre

Già per altre mie scrisse a Vostra Serenissima Molto Reverendissima e da Gancia da Gori, e li patimenti e saccheggiamenti patiti per strada, e parte della disgrazie successimi nella città di Gancia dove era andato per recuperare il danaro tolto mi di Tiflis per il camino, essendo Tiflis in quel tempo soggetto a quel Chan per nome Daud Chan, il quale in quel tempo stesso che mi era in quel luogo fermato avendo avuto certissimo avviso, che il re di persia suo principe Signore voleva ucciderlo per incominciare forse con questo ad abbassare la grandezza d' un suo fratello Chan di Scira per nome Emanculi chan, della cui felicità assai il re temeva si per essere ambedue questi due fratelli per li gentilissimi loro costumi amati universalmente oltremodo in tutta la Persia, si perche detto Emanculi chan aveva in suo potere un figlio del nuovo re Abbas nato da una sua moglie, che il re stesso dal suo proprio serraglio gli aveva dato essendo già gravida dello stesso re; Daud dunque Can di Gancia, avendo avuto segretamente la nuova dell'ordine dato della sua morte, in quello stesso tempo che io in quella città dimorava, ad alcuni suoi amorevoli e con tutte le sue robe che seco condur poteva ritiratosi nella Giorgia, ed unitosi con Tamiraz con il quale già un pezzo fa aveva contratto strettissima amicizia si ribellò dal re di Persia, e entrato con buon numero di Giorgiani nel paese del Persiano, incominciò con gran rabbia a distruggerlo, e la prima a dare a sacco fu la città di Gancia, nella ritrovandomi io e Matteo fummo per scamparla morte costretti a fuggirsene in compagnia degli armeni di quella

città che a tal nuova si posero in fuga andava con intenzione di potermi ritirare in Aliacia da Mons. Augustino. Ma non potè esser la fuga così in fretta che il secondo giorno non fossimo sopraggiunti da Giorgiani che endavano da per tutto rovinando il paese, onde fummo tutti unitamente costretti ad abbandonare le robe ed il cavalli, ed a rampiconi salvarci sopra di erto sasso dove non poteramo essere giunti dalla cavalleria, mi solvai io, e Matteo dietro di un sasso concavo. frattanto quegli armeni essendo tutti armati di archibugi, e stando in quel luogo forte scaricarono molte archibugiate contro li Giorgiani, ma con perdita dei nostri cavalli e nostre robe. Dal timore che ebbe Matteo di vedere quei uomini uccisi nell' uscire che facemmo da quel sasso gli venne una grande uscita di corpo, perche ritrovandolo ancora debole per essere stato infermo (come era ancor io) in pochi giorni lo condusse a morte. Restammo dunque, prese le robe, e i cavalli, a piedi, due infermi fra tanti rumori in paese straniero che tutto andava a sangue ed a fuoco. Avevo con tutto ciò gran confidenza in Dio, e ripigliando l' animo ripigliammo il camino a piedi per potere giungere in Heraccar, e di la passare più il male di matteo, fummo costretti di ritirarci in un villaggio d'armeni posto su l'asperezza di quelli monti, dove raccolti in casa da un sacerdote di quella nazione, con quelli pochi denari che a caso ci ritrovammo ci nudrimmo con pane, e qualche poco di latte sustentando al meglio che potemmo sino a tanto che al Signore piacessi di mandarci qualche soccorso. Quivi aggravandosi il flusso a Matteo presso di questa vita essendosi prima devotamente confessato. fra questo mezzo Daud Chan e Taimiraz avendo fatta gran

preda di bestiame, di seta e di altre mercanzie, se ne ritornò nella Giorgia. E perchè Daud Chan si ritirò in Gori contrasse tanta familiarità coi nostri che non si può dire e li soccorse ancora di due tomani di elemosina che sono da trenta-sei piastre in circa della nostra moneta che aiuto quei padri che stavansi in estremi bisogni. E vedendoli quel Signore tutti afflittiper non avere nuova di me li promise sopra la sua parola di ricuperarmi quanto prima, ed egli stesso condussemi a Gori. Così per appunto fece poichè di li a pochi giorni ragunando un'altra volta l'esercito Taimiraz giunto con lui ritornarono a dare il guasto nel paese del persiano e passando per Gancia cercava aver nuova di me, ma difficilmente la poteva avere per ritrovarmi molto discosto da quel luogo in una piccola villetta sopra de monti. fra tanto nostro Signore m'ispirò nel cuore che dovessi io mandar da lui sapendo che stava a Gancia acciò mi favorisse di cavalcatura e di scorta. Mandò, e in ricevere lui l'avviso fé molta allegrezza, e diedi ordine subito che mi fosse colà portato un cavallo e che altri venisse in mia compagnia, Mi trasferii a Gancia dove trovato detto Signore non si può dire la festa che egli fece, ed insieme con lui e Teimiraz c'inviammo verso Gori con l'esercito tenendomi sempre con lui e perchè si occorre che io dormivo fuori del padiglione e che aveva freddo, mandò subito un creato a mettermi mentre stava dormendo il suo stesso feltro di sopra, e poi la sera seguente volle che io entrassi a dormire con esso nel suo stesso Padiglione ne'volle che cavalcassi altra cavalcatura che in una di quelle che erano destinate per il suo proprio che era una mula con guernimenti tutti di oro massiccio. Ment-

